140
1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4
1968



# პიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ი ლ ი ჩ ი

## პოემა
ნაწყვეტი

**ალექსი მარკოვი**

ვით ცის ნამს ელის ჯეჯილი ველად,
ხალხი ტანჯვისგან წელში მოხრილი
ისე შესტრფოდა ოცნებით ბელადს,
რომ დაემსხვრია მძიმე ბორკილი.

წარმოდგენილი მათ იგი ჰყავდათ,
ვით მართლაც იყო, — ვით განთიადი,
დიადი, მაგრამ უბრალო. სადა,
სადა, უბრალო, მაგრამ დიადი.

წარმოდგენილი მათ იგი ჰყავდათ,
ვით მართლაც იყო, — ვით ბრძენთა ბრძენი
მნათობი, ბრძოლის ცეცხლში ნაწრთობი,
მზე, ქვეყანაზე სინათლის მფენი.

...და ქარხანაში მიტინგზე მუშებს,
აი, ეწვია ერთხელ ილიჩი.
ის შეუმჩნევლად მოვიდა უცებ,
სიცოცხლეს გრძნობდით მის თბილ ღიმილში.

შეუმჩნევლადვე ჩამოჯდა კუნძზე,
ბლოკნოტში სწერდა თავისთვის სიტყვებს,
მარცხენა ხელი მიედო შუბლზე,
შუბლზე, რომელიც დიდ სიბრძნეს იტევს.

როცა ჰხვდებოდნენ, ყოველთვის მისკენ
ცვიოდა ვარდი, ისმოდა ტაში.
დღეს მოახერხა მან მოსვლა ისე,
არ ატეხილა ჩოჩქოლი ხალხში.

აი, გამოჩნდა, კარებთან მიდის
მჭედელი დამწვარწინსაფრიანი.
ლენინმა წამსვე შენიშნა იგი
და მიაგება სიტყვა ფრთიანი:

— ო, გამარჯობათ, სალამი ჩემი! —
და ჩამოართვა ლენინმა ხელი.

— ფრთხილად... ეს არის მოვცილდი ქურას,
დაგსვრით ნახშირის ჭვარტლი და მური!..

— ეგ არაფერი — ხელის გამურვა,
ოღონდ კი წმინდა ჰქონდეს კაცს სული.

ეამა ილიჩს იმ მჭედლის ნახვა,
ხარობდა მისთა მკლავთა მჭვრეტელი.
— სხვა? რა გაწუხებთ, რას იტყვით ახალს? —
ახლოს მოისვა ბრძენმა მჭედელი.

მჭედელი სჭვრეტდა ლენინის ღიმილს,
მას გადაჰხვია ბელადმა ხელი.
— ჰო, გეტყვით... აი, ამბობენ, ილიჩ... —
და მოიქექა მჭედელმა წვერი.

— ჰო, გეტყვით... აი, ქარხანა ჩვენი,
ფორდს მიჰყიდესო, ამბობენ, თითქოს...
და უნდა მიწა, ჩვენ ჩვენი დღენი,
კვლავ პაპისეულ კავითა ვჩიჩქნოთ.

იქნებ საშველი გაგვიჩნდეს ბედზე —
მისჩერებოდა მჭედელი ბელადს.
მუშები ახლოს მიუსხდნენ მჭედელს,
მუშები უმალ გადიქცნენ სმენად.

ლენინი დუმდა, ისმენდა მხოლოდ
(ის კაცს ლაპარაკს ყოველთვის აცლის),
მან გადაავლო ხალხს თვალი ბოლოს:
„იქნებ ვინმეს გსურთ გამოთქვათ აზრი".

მუშების ზღვიდან წამოდგა ერთი,
გაისმა მისი სიტყვები მკვეთრი:

— თუ დიდ მიზნისთვის გჭირდება ღონე,
თუ არ აპირებ სოკოზე წასვლას,
მძლავრი, ფოლადის ფეხები, მგონი
უკეთესია, სწორი თქვას კაცმა...

ეამათ მუშებს მართალი სიტყვა
და გაიცინეს დასტურის ნიშნად.

უცებვე გაქრა სიცილის კვალი,
იგრძნეს, რომ სურდა სიტყვის თქმა ლენინს.

პიონერი
4 · აპრილი · 1968
გამოცემის XXXXII წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10663.



მხატვარი ნ. ჟუკოვი —წუთებს ნუ ჰკარგავთ!

— ლითონი! ლითონი და არა კავი!
მხოლოდ მას ძალუძს აღდგენა ჩვენი!

ემატებოდა ხალხის ზღვას ტალღა,
ათასი თვალი შესცქეროდა ბელადს.
მორებზე შედგა ილიჩი ახლა,
რომ გააგონოს სათქმელი ყველას.

(და გაახსენდა მას იქნებ მაშინ:
როდესაც იყო ჯერ კიდევ ბავშვი,
თუ რა ყოჩაღად, თუ რა სიმარდით
მოაჯდებოდა ჩიტივით ხის წვერს,
იზნიქებოდა ტოტი ჭრიალით,
აფრიალებდა მის პერანგს ქარი,
დედა შესცქეროდა შიშისგან მკრთალი).



[library stamp]

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. ი. ლენინი მუშაობის დროს    ქანდაკება ნ. ანდრეევისა

თავმოყრილია მშრომელი ხალხი,
აი ჭაბუკიც, აი ჭაღარაც,
ტანჯული ხალხი ელისღა ძახილს,
მზად არის გაჰყვეს ბრძოლის ნაღარას.

ხალხი მზად არის, რომ უყოყმანოდ
სძლიოს სიძნელე, ტანჯვა-წამება,
თავისუფლების ტალღა ტორტმანებს,
ხალხს თვით სიცოცხლე არ ენანება.

ხალხო, ნატარო ქარცეცხლში ბრძოლის,
ფრთას ვერ ასხამდი მწველ ნატვრას, სურვილს,
შენ არ გენახა სასახლე ბროლის,
შენ მიწურების გახრჩობდა სუნი.

ცხოვრობდი, სადაც სუსხით და ყინვით
ნაზი ყვავილიც თრთოდა, თავს ხრიდა.
თუ გაივლიდა ქუჩაში ვინმე,
მხოლოდ ფეხები ჩანდა სარკმლიდან.

პროლეტარების მრისხანე კლასო,
იცოდი შვებას ბრძოლით ჰპოვებდი,
შენ არაფერი არ გქონდა არსად,
მაგრამ რწმენა კი გქონდა ყოველთვის.

თუმცა გათელილს ლუკმა წაგართვეს,
მხდალს, უიმედოს არა, არ ჰგავდი,
ბორკილებს გარდა შენ სხვას არაფერს,
იცოდი, ქვეყნად არ დაჰკარგავდი.

მონურ ცხოვრებას ქედს არ უხრიდი,
რწმენა გაწრთობდა ჩაგრულს, გათელილს,
ერთი დროშის ქვეშ ძმებს თავს უყრიდი,
გენთო მომავლის შუქი ნათელი.

„ბორკილებიდან გამოვჭედთ მახვილს,
და შვებას იგრძნობს ჩაგრული ხალხი“ —
შენი გმირული სიმღერის ძალა
შიშის ზარს სცემდა ულმობელ ჯალათს.

...— ილიჩ, — ზრუნვით თქვა მჭედელმა ბოლოს —
იქნება სჯობდა გყოლოდათ მცველი,
ის მოიტანდა სარგებელს მხოლოდ,
ვინ იცის, იქნებ ხიფათი გელით...

მაგრამ ილიჩმა წინ წადგა ფეხი
და ვით მტრის თავზე დამტყდარი მეხი,
აფეთქდა სიტყვა ბაგიდან ბრძენის...
ხალხი... ხალხი... ხალხი...
ხალხი, ზღვა ხალხი
უსმენდა ლენინს.

— ხელისუფლება მშრომელ ხალხისა —
ეს, მეგობრებო, როდია იგი,
რომ შემოვუსხდეთ წითელ მაგიდას,
დღეს, აქაო და, ჩვენია რიგი!

მას ისტორიის კანონი ჰქვია,
დიდება ჰქვია მშრომელთა რწმენის!
იცოდეს მტერმა, რომ არის გვიან,
თუ შეჩერება სწადიათ ჩვენი.

თუ ერთს მოჰკლავენ, მის ადგილს მყისვე
მეორე მივა, მივა მესამე,
ტერორი მტარვალთ არაფერს მისცემს,
მტრები ამაოდ ხმლებსა ლესავენ.

წინ ვინ დაუდგეს ქვეყნად სიმართლეს,
ვინ შეაჩეროს ამოსვლა მზისა,
ბინდი გაურბის მუდამ სინათლეს
და ჩვენც უთუოდ მივაღწევთ მიზანს!

როგორც არ უნდა გაცოფდეს რისხვით,
მტერი სულს ღაფავს ღონემიხდილი,
დათვლილი არის წუთები მისი,
თავს დაჰფარფატებს შავი სიკვდილი.

... მისი სიტყვები, სიმართლით სავსე,
იყო უბრალო, ღრმა და ნათელი,
ილიჩმა მუდამ იცოდა ასე
ხალხის გულების სიბრძნით ნათება.

პარტიის ხმისებრ ჟღერდა ფოლადად,
ეფინებოდათ ჩაგრულთ იმედად,
მტერს სიკვდილის ხმად თავს დაჰქროლავდა,
ხალხს სამუდამოდ თვალს უხილებდა.

თარგმნა ალექსანდრე ბეგაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მ. შაგინიანი**

# ისტორიის საგამოცდო ბილეთი

გიმნაზიის უკანასკნელმა მერვე წელმა ანდა, როგორც იტყვიან ხოლმე, 1886-87 სასწავლო წელმა, ვალოდია ულიანოვს მეორე და საშინელი სულიერი დარტყმა მოუვლინა: სწორედ გაზაფხულის პირზე, როცა გამოცდებისთვის სამზადისს უნდა შესდგომოდა, ალექსანდრე ილიას ძის დაპატიმრების ცნობა მოვიდა. ილია ნიკოლოზის ძის გარდაცვალების შემდეგ ულიანოვების ოჯახის მდგომარეობა საკმაოდ შეირყა. ჯერ ერთი, გაცილებით გაძნელდა ცხოვრება; პენსია, რაც არ უნდა იყოს, მაინც არ არის ხელფასი და, ცხადია, არც ქვრივი ქალის შვილების მდგომარეობა შეედრება ქალაქში ცნობილი, დიდი თანამდებობის პირის შვილების მდგომარეობას.

ცხოვრება უფრო პასუხსაგები გახდა. უფროსები სანახევროდ მაინც არიან მოწყობილნი, ვალოდია ეს-ეს არის ამთავრებს გიმნაზიას. მისი მომდევნო ოლღაა, შემდეგ კიდევ ორი პატარა. ახლა მარტო საკუთარ თავზე და მომავალზე ფიქრი არ შველოდა საქმეს.

თოვლიანი, ქარბუქიანი თებერვალი დადგა, ნამდვილი სიმბირსკული თებერვალი. უკვე დაიწყო პირველი გამოცდისწინა ციებ-ცხელება, საჭირო წიგნებისა და სახელმძღვანელოების ძებნა, კარამზინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩაწერა.

ვალოდია ულიანოვი იმ ზამთარს ბევრს კითხულობდა. მოწაფეეც ჰყავდა აყვანილი. ის მზად იყო, თუნდაც ახლავე ჩაებარებინა გამოცდები. მისი და ოლღაც პირველი მოსწავლე იყო, მაგრამ ძმის დაპატიმრების ამბავი მეხად დაატყდა და-ძმას.

მარია ალექსანდრეს ასული სასწრაფოდ მოემზადა და პეტერბურგს გაემგზავრა. ბედად ძიძაც — ვარვარა გრიგოლის ასული, — რომელიც ძალიან იყო მიჩვეული ოჯახს, განსაკუთრებით კი მის გაზრდილს — ვალოდიას, შინ არ იყო, სტუმრად იყო წასული თავის სამშობლოში, პენზის გუბერნიაში.

მარტო დარჩენილმა ბავშვებმა როგორღაც ერთბაშად იგრძნეს თავი დიდებად, დადინჯდნენ. რადაც უნდა დასჯდომოდათ, უნდა გამხნევებულიყვნენ, გული უნდა გაემაგრებინათ, უმცროსებს რომ არ გაეგოთ ახალი უბედურების ამბავი.

მოსკოვის ქუჩაზე ულიანოვების სახლს ნაცნობები ახლა გვერდს უვლიდნენ. ამ ცოტახნის წინათ კი შურით შესცქეროდნენ, შურდათ მარია ალექსანდრეს ასულის გამრჯე დიასახლისობა, მისი შვილების გაზრდილობა, სწავლაში ბეჯითობა, ის, რომ ამ სახლში არაფერი იყო მოჩვენებითი, ერთი სიტყვით, არაფერი იყო ისეთი, რაზეც შეგეძლო გეჭორავა და ავყიაობით გული გეჯერებინა.

ოლღა — ამაყი გოგონა, უფროს ძმასავით შავი, დიდრონი, უძირო თვალები და მიმზიდველი, ნათელი სახე რომ ჰქონდა, თავის სადღესასწაულო წინსაფარში გამოწყობილი ისე დადიოდა გამოცდებზე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ქალაქში კი უკვე ნამდვილი გაზაფხული დგებოდა და გაზაფხულთან ერთად საშინელი ცნობები მოდიოდა პეტერბურგიდან. დაპატიმრებული ძმის, საშას მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. მას მეფეზე თავდასხმა ბრალდებოდა, ულიანოვების ოჯახში ბავშვებმაც კი იცოდნენ რას ნიშნავდა ეს. ყველას ახსოვდა 1881 წლის მარტი და პირველმარტელთა სიკვდილით დასჯა. მაგრამ საშა ისე მახლობელი, ისე ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე იყო! ზევით, სხვენში, მის ოთახში, მისი თითების შეხებისაგან თითქოსდა ჯერ კიდევ თბილი სინჯარები ეწყო. სუფთა პირსახოცი, პატრონის მოლოდინში, კაუჭაზე ეკიდა. იქვე იყო წიგნების თარო, საიდანაც ვალოდია ხშირად იღებდა საშას „დრეპერს". სასადილოში პურს ახლაც საშას მიერ გამოთლილ ხის ლანგარზე აწყობდნენ. ეს ლანგარი, რომლის შუაგულშიც ამოკვეთილი იყო „Brot" (პური), საშამ დედას მიუძღვნა. ძნელი იყო მისი პატიმრად წარმოდგენა.

ვლადიმერ ილიას ძემ იცოდა, რომ შეიძლებოდა ძმის საქმე ძალიან ცუდად დამთავრებულიყო. პატარა მანიაშა ღამღამობით ხშირად ტირილით იღვიძებდა და დედას უხმობდა. მაგრამ უნდა გაგეძლო, მოგეთმინა, ქუჩაში თავაწეულად უნდა გევლო, შეკითხვებზე მშვიდად უნდა გეპასუხა, არ უნდა აყოლოდი გადაკრულად ნათქვამს. და ოლღა და ვლადიმერი, თითქოს პირი შეკრეს, თითქოს ამაში ყოფილიყოს მათი ოჯახის მთელი ღირსება, თავიანთ თანაკლასელებს გასაოცარი თავშეკავებითა და სიმშვიდით აკვირვებდნენ.

გამოცდების საქმე შესანიშნავად მიდიოდა. მაისი იყო. ქალაქში ცაცხვის ყვავილის გამაბრუებელი სურნელი ტრიალებდა. მამის საფლავზე ნეკერჩხალი აყვავდა, კარამზინის სახელობის ბაღში იასამანს კვირტები დასკდომაზე ჰქონდა. ისევე, როგორც წინა წლებში, გიმნაზიაში მიმავალი ვალოდია ულიანოვი ახლაც მოსკოვის ქუჩას მიუყვებოდა. სერიოზული იყო, ოდნავ მოღუშული. დიდი, დაბერილი, ბავშვური ტუჩები ჰქონდა, მწითური იყო, დიდთავა. აი, ჩაუარა საზვერავ კოშკს, სრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიად ახლებურად დააცქერდა საპატიმროს გისოსებიან სარკმელს, სარკმელზე მომდგარ პატიმართა გაცრეცილ სახეებს. ჩაუარა გერმანელთა კირხას, სოვდაგარ შესტერნიკოვის საკარეტო სახელოსნოს, მერე ერთი ამხანაგის, მეორის, მესამის სახლს. მაისის ნაზ, გაზაფხულის სურნელებით განელებულ ჰაერში ქალაქის თავზე რვაჯერ დარეკა სიმბირსკის ცნობილმა საათმა, მოხუც გრაფ ორლოვ-დავიდოვს რომ უჩუქებია ქალაქისათვის. სწორედ ამ დროს უწევდა ვალოდიას გრაფ ტოლსტოის სახლის წინ ჩავლა და, პეტია ტოლსტოი, მისი თანაკლასელი, ყოველთვის დაემგზავრებოდა ხოლმე, თუ გიმნაზიაში ფეხით მიდიოდა. მაგრამ ახლა პეტია არ ჩანდა. მეორე თანაკლასელი კი, ვალოდიას დანახვაზე, სასწრაფოდ მოეფარა მონასტრის გალავანს.

გიმნაზიის სააქტო დარბაზში დღეს მეტად ძნელი გამოცდა იყო — ისტორიაში. ისტორიის მასწავლებელი შარიანი კაცი იყო და საგამოცდო ბილეთებიც ძალიან უხიაკად შეადგინა. ბევრ მის შეკითხვას, მაგალითად კარლ IV-ს შესახებ, ვერაფრით ვერ გასცემდი პასუხს მარტო ილოვაისკის მიხედვით. ამ საკითხზე მასწავლებლის ნაამბობი უნდა გხსომებოდა, ანდა თვითონ უნდა გემტვრია თავი და გეძებნა ლექსიკონებსა და დამხმარე ლიტერატურაში.

ბევრ თანაკლასელს ერთი სული ჰქონდა შეჰკითხოდა ვალოდიას, რომელმაც ყოველთვის ყველაფერი იცოდა. მაგრამ ამჯერად გაჩუმება არჩიეს, არაფერი ჰკითხეს. ოღონდ ვალოდია, მცოცავი მწერის შეხებასავით გრძნობდა უსიამო, დაჟინებულ, ირიბ მზერას.

ვალოდია ულიანოვი შევიდა დარბაზში, წიგნებს ზონარი შემოხსნა და, როგორც ყოველთვის იცოდა, თითზე დაიხვია. როგორც ყოველთვის, დაჯდა, თუმცა საშინლად იყო გაფითრებული.

ვიდრე ვალოდია ამხანაგების ფარულ მზერას გრძნობდა, მეორე ქალთა გიმნაზიაში ფრანგული ენის გამოცდაზე, მკვდარივით გაფითრებული ოლღა, მტკიცე, გარკვეული ხმით უპასუხებდა მასწავლებლის კითხვებს და გოგონები, ოლღას თანაკლასელები, რომლებიც, მართალია, ბიჭებზე უფრო ცნობისმოყვარენი იყვნენ, მაგრამ ამავე დროს უფრო გულკეთილებიც, ახლა ცდილობდნენ ფარულად მოეჭირათ ხელი ამ ცივი, ფერდაკარგული, ერთბაშად მათზე თითქმის მთელი თავით მაღლა გაზრდილი გოგონას ხელისთვის, ასე უცბად უცხო რომ გამხდარიყო მთელი კლასისათვის.

ულიანოვზე წინ საგამოცდო მაგიდასთან ტოლსტოი მივიდა. ხელის კანკალით აიღო ბილეთი. პასუხი საშუალო იყო, გაჭირვებით სამიანს დაუწერდა კაცი. მის შემდეგ მაგიდასთან ვლადიმერ ულიანოვი გავიდა... შესანიშნავი ბილეთი შეხვდა. ბედის უცნაური კაპრიზით გაუხიაკებულ ისტორიკოსს ერთი ისეთი ბილეთი შეედგინა, რომელშიც, თითქოს განზრახ, თავი მოეყარა მთელი მსოფლიოს ისტორიის, კლასობრივი ბრძოლებისა და რევოლუციების საკვანძო წერტილებს. ბილეთის პირველი საკითხი, თავისი უფლებებისათვის, რომის ამაყი პატრიციების წინაამდეგ ამხედრებულ და მთაში გახიზნულ პლებეებს ეხებოდა. კარლ მეოთხეც, შიშის ზარს რომ სცემდა მთელ კლასს, ამ ბილეთში აღმოჩნდა. ულიანოვმა იცოდა, რომ ის ახლა ჩვეულებრივ გამოცდას კი არ აბარებდა, არამედ ამ შუბლშეკრულ, მტრულად მზირალ საბჭოს წევრების წინაშე, თავისი ამხანაგების ცნობისმოყვარე, შეშინებული თვალების წინაშე, მთელი ძველი, მთვლემარე სათავადაზნაურო ქალაქ სიმბირსკის წინაშე აბარებდა გამოცდას თავისი მომავალი ცხოვრების უფლებაზე, განათლების, უნივერსიტეტში შესვლის უფლებაზე. გუშინ იგი ისეთივე იყო, როგორც ყველა მისი თანაკლასელი, ახლა კი ჩამოხრჩობილის ძმაა, მარტოდმარტო, საერთო წრიდან ჭირიანივით გამორიყული. მან ახლა პირველად, მწვავედ იგრძნო, რამდენად რეალურია ეს წრე და ეს საზღვრები. ძმა სწორედ ამ საზღვრების მოსპობისა და ადამიანთა თანასწორობისათვის იბრძოდა. და განა მარტო მისი ძმა? მან გადაიკითხა აღებული ბილეთი — პლებეების ბრძოლა პატრიციების წინააღმდეგ, რეფორმაცია, ბოგდან ხმელნიცკი... ე.ი. მარტო მისი ძმა კი არა, მსოფლიოს მთელი ისტორია სავსეა ბრძოლებით, მაგრამ ასე განცალკევებულად, ასეთი გზით კი არ უბრძოლიათ! ვლადიმერ ულიანოვმა დაიწყო ბილეთზე პასუხის გაცემა. ის ოდნავ ენამოქცეული, ნახევრად ბავშვური ხმით, გარკვევით, ღრმად, მშვიდად ლაპარაკობდა. მასწავლებელი, მექანიკურად რომ ჩხაპნიდა რაღაცას ფურცელზე, თავს უქნევდა; გამომცდელებმა ერთმანეთს გადახედეს — მოსწავლე იმდენად ბრწყინვალედ პასუხობდა, რომ ვერაფერში ვერ შეედავებოდნენ. გიმნაზიის მოხუცი დირექტორი კერენსკი, რომლის შვილსაც, მომავალ ალექსანდრე თევდორეს ძეს, იმ დროს ამავე გიმნაზიის პირველ კლასში შესასვლელად ამზადებდნენ, თავის გუნებაში მოწონების ნიშნად თავს უქნევდა ულიანოვს: მართალია, ძალიან საფრთხილოა, მაგრამ რას იზამ — ოქროს მედალი სწორედ ამას უნდა მიანიჭო, არაფრით არ შეიძლება არ მიანიჭო! ულიანოვი მთელი თავით მაღლა დგას კლასზე!



ვ. ი. ლენინი გიმნაზიის წლებში

# „ზარნიცა"

# მზად ვართ...



მეავტომატეთა ათეული „ბრძოლის" წინ დავალებას იღებს.

— ლომინაძე სერგო! იარაღთან!

ბიჭუნა სწრაფად გამოეყო თანატოლებს, მკვირცხლად გაწვა მიწაზე და მცირეკალიბრიან შაშხანაში ვაზნა მარჯვედ ჩადო, მერე თოფის ლულა სამიზნეს უსწორა.

სერჟანტი მივიდა მასთან და შეამოწმა, კონდახი სწორად ჰქონდა თუ არა ბეჭზე მობჯენილი.

სერგომ ერთხანს დაუმიზნა. ბოლოს სასხლეტი მოზიდა და... ტყვიამ სამიზნის ცენტრის ზემოთ ,,რვიანის" წრეხაზი გაგლიჯა.

— ყოჩაღ! — შეაქო სერჟანტმა. — აბა კიდევ!

ხუთივე ნასროლიდან არც ერთი არ მოხვედრილა ,,შვიდიანს" გარეთ.

სერგოს შემდეგ ზინა ციბულკინამ ისროლა. ზინა რომან გრიგორიანმა შეცვალა, რომანი — ვალია პოპოვამ...

სერჟანტი კმაყოფილი იყო სროლის შედეგით.

სულ რამდენიმე თვე იყო გასული იმ დღიდან, სერგომ და მისმა მეგობრებმა თოფს პირველად რომ მოჰკიდეს ხელი. მათ შედარებით მოკლე ხანში ისწავლეს მცირეკალიბრიანი შაშხანის დაშლა და აწყობა, მიზანში ზუსტი სროლის წესები... ყველაფერი ეს კი მას შემდეგ მოხდა, როცა საკავშირო სამხედრო-სპორტული თამაშობა ,,ზარნიცა" გამოცხადდა.

,,ზარნიცას" თამაშში თავიდანვე დიდი ენთუზიაზმით ჩაება თბილისის მე-15 საშუალო სკოლის ზოია რუხაძის სახელობის პიონერთა რაზმეული. მაგრამ პიონერები მალე მიხვდნენ, რომ მარტო თვითონ ვერაფერს გააწყობდნენ. მათ არათუ ელემენტარული საბრძოლო წესები და იარაღის ხმარება, მხედრულ მწყობრში სიარულიც კი არ იცოდნენ.

საბედნიეროდ, დიდხანს არ გასტანა ნორჩ ენთუზიასტთა დაღონებამ. მე-15 სკოლის პიონერებს საბჭოთა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა მეგობრული დახმარების ხელი გაუწოდეს.

სერჟანტის ი. გორდიენკოს, უფროსი სერჟანტის ვ. ალმეზოვის და სხვათა სისტემატური ხელმძღვანელობით ნორჩმა არმიელებმა მუყაითად დაიწყეს მხედრული წვრთნა და სწავლება.

შეფებმა თავიანთ უმცროს მეგობრებს თვალნათლივ აჩვენეს საბრძოლო იარაღები და მათი ხმარებაც ასწავლეს.

უნდა გენახათ ბავშვების სიხარული, როცა ისინი ნამდვილ საბრძოლო ტანკებთან მიიყვანეს! რამდენიმე ხნის შემდეგ კი დაწვრილებით იცოდნენ ამ მრისხანე საომარი იარაღის მოწყობილობა, მისი თვითეული ნაწილის დანიშნულება.

მაგრამ, თუ ზოგიერთი ნორჩი არმიელი ტანკისტის სპეციალობით მოიხიბლა, ზოგიერთმა მეავტომატეობა ირჩია მათ სწრაფად ისწავლეს ავტომატური თოფის დაშლა-აწყობა, ავტომატის სროლის წესები...

თითქოს სრულიად უცნობ სამყაროში მოხვდნენო, ისე გრძნობდნენ ნორჩები თავს, როცა მებრძოლების წყალქვეშა საქმიანობას ეცნობოდნენ. ვინ იცის, რამდენმა მათგანმა ინატრა წყალქვეშა ნავის კაპიტნობა!..

სკოლაში თავდაპირველად ნორჩ არმიელთა ორი ბატალიონი ჩამოყალიბდა: ,,წითლები" და ,,ლურჯები". რამდენიმე ,,საბრძოლო ოპერაციის" ჩატარების შემდეგ, ორივე ბატალიონიდან საუკეთესონი შეირჩნენ და მათგან ერთი ბატალიონი შეიქმნა. მას ,,შავარდენი" უწოდეს. ბატალიონის მეთაურად ძალზე მკვირცხლი გოგონა ნადია პერეპიოლკინა დაინიშნა.

ამის შემდეგ ახალი ძალით გაჩაღდა მეკავშირეთა, მესანგრეთა, მზვერავთა ჯგუფებში მეცადინეობა. ნორჩი სანიტრები, ექიმი-ქირურგის გ. ფარულავას ხელმძღვანელობით, ქალაქის მე-8 საავადმყოფოში დადიოდნენ სამეცადინოდ და ხშირად ქირურგიულ ოპერაციებსაც ესწრებოდნენ.

შავარდნელებმა თვითონ შეკერეს თავიანთი დროშა და ბატალიონის მთელი შემადგენლობისათვის მხედრული ფორმის ტანისამოსიც შეიძინეს.

ნორჩი არმიელები, თავიანთი შეფების თანხლებით, ყოველგვარ ამინდში აწყობდნენ ლაშქრობებს, ექსკურსიებს, დაესწრნენ 8 ქვეყნის — საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, გდრ-ს, უნგრეთის, რუმინეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენ მებრძოლთა სროლაში შეჯიბრებას. გამარჯვებულებს მხურვალედ მიულოცეს და მათთან ერთად სამახსოვრო სურათიც გადაიღეს.

და აი, დადგა თვეების მანძილზე მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ბრძოლაში“ დესანტიც ჩაება...

ღებული საბრძოლო ცოდნისა და უნარის შემოწმების დღეც.

...ახალი გათენებული იყო. „ბრძოლის ველზე“ სრული სიჩუმე იდგა. ჩანდა, რომ მესანგრეებს, იურა კრიუჩენკოს მეთაურობით, კარგად ემუშავნათ: „შავარდენი“ ჩინებულად იყო ჩასანგრებული და შენიღბული. სატელეფონო კავშირს კი იური გელაშვილის „გამოცდილი“ ხელი ეტყობოდა.

ერთ-ერთ მოხერხებულ ადგილას ბატალიონის გაზეთ „საბრძოლო ფურცლის“ რედაქცია იყო მოთავსებული; სარედაქციო კოლეგია, რედაქტორის სერგეი სერგეევის ხელმძღვანელობით, გაზეთის მორიგ ნომერზე მუშაობდა.

საველე ქვაბთან მზარეულები პეტია კურტიკი და ოლია პოტაპენკო ფუსფუსებდნენ.

უეცრად შტაბის მახლობლად ჩქამი გაისმა. ეს მზვერავი სერგეი იპატოვი იყო, ძვირფასი ცნობებით ბრუნდებოდა უკან და თან გათოკილი „მოენეც“ მოჰყავდა.

კომისარმა ვლადიმერ ტარზიანმა მებრძოლებს სიტყვით მიმართა.



განსაკუთრებულად გემრიელია საველე კიროგებში მომზადებული კერძები.



შავარდნელებმა კვამლის ფარდა იფარეს და წინ გაიჭრნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძოლის დაწყების მაუწყებლად ცაში შუშხუნა ავარდა...

დაიწყო „ბრძოლის ველის“ მოპირდაპირე მხარეს განლაგებულ „მტერზე“ — თბილისის 114-ე სკოლის ნორჩ არმიელთა ბატალიონზე შეტევა.

შავარდნელებმა ფეთქებადი პაკეტები ისროლეს, ხელოვნური კვამლის ფარდა იფარეს და წინ გაიჭრნენ.

გაიმართა თავგანწირული „ბრძოლა“..

არც „მტერი“ გამოდგა ჯაბანი...

ბატალიონის მეთაური ნადია პერეპიოლკინა „ბრძოლის ველს“, როგორც ხელისგულს, ისე დაჰყურებდა და ათეულების მეთაურებთან განკარგულებას განკარგულებაზე გზავნიდა.

თავგამოდებით ირჯებოდნენ ნორჩი სანიტრებიც. განსაკუთრებით ტანია ლაპტევამ და ლიდა შკერენდამ გამოიჩინეს თავი. ისინი სრულებით არ ეპუებოდნენ „ტყვიის წვიმას“, დაჭრილებს სწრაფად უწევდნენ პირველ დახმარებას და მერე სამშვიდობოს გამოჰყავდათ.

შავარდნელებმა თანდათან გაშალეს თავიანთი რიგები, მოწინააღმდეგეს მოულოდნელად ზურგიდან შემოუარეს და „ტომარაში“ მოაქციეს.

ალყაშემორტყმულ „მტერს“ ისღა დარჩენოდა, იარაღი დაეყარა და „უსიტყვო კაპიტულაციაზე“ დათანხმებულიყო...

ზეიმობდა გამარჯვებული „შავარდენი“!..

გულმოდგინე სწავლამ და საბრძოლო წვრთნამ თავისი შედეგი გამოიღო — შავარდნელებმა იმ დღეს ნამდვილი მხედრული დისციპლინა, ბრძოლის ხერხების კარგი ცოდნა გამოავლინეს.

ბატალიონმა „შავარდენმა“ სამხედრო-სპორტული თამაშის — „ზარნიცას“ საკავშირო შტაბის დიპლომი მიიღო; საქალაქო შეჯიბრებაში მეორე ადგილის მოპოვებისათვის კი საგანგებო სიგელით დაჯილდოვდა.

„შავარდნის“ შემადგენლობაში არ იღებენ იმ მოსწავლეებს, ვინც რომელიმე საგანში, თუნდაც ერთხელ, „ორიანს“ მიიღებს. ნორჩ არმიელად გახდომის მსურველთა რიცხვი კი სულ მატულობს და მატულობს.

— თამაში „ზარნიცა“ ჩვენს ქვეყანაში უფრო და უფრო ჩაღდება, — განაცხადა ბატალიონის მეთაურმა ნადია პერეპიოლკინამ. — წინ კვლავ მრავალი „საომარი ოპერაციის“ ჩატარება, ბევრი საინტერესო ლაშქრობა გველის. ვეცდებით მეტ წარმატებებს მივაღწიოთ. ამისათვის ძალ-ღონეს არ დავიშურებთ.

— „შავარდენმა“ ფრთები უკვე გაშალა, მაშასადამე, შორს გაფრინდება, — ღიმილით დასძინა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ნუნუ ხიდაშელმა, — ბატალიონი მზად არის ახალი „საბრძოლო“ გამარჯვებების მოსაპოვებლად.

ს. ბეჩოელი.

ფოტო ანზორ ჩიგოგიძისა.



იზოლდა აკულოვა მყისვე გაჩნდა „დაჭრილ“ თანამებრძოლთან.





თვითეული მებრძოლი სრულყოფილად უნდა იცნობდეს თავის საბრძოლო იარაღს.



მეკავშირე ტატიანა ლაპტევა.

გიორგი კაჭახიძე



## ამ ყვავილების ხათრით

ყვავილი სად არ გამოჩდა.
სად არ ამწვანდა მოლი!
მთებო. რას უცდით. რა მოგდით,
მხოლოდ თქვენ გადევთ თოვლი!

მზეზე რომ თეთრად გიბრწყინავთ
ისევ მხრები და კალთა,
არ სიამოვნებთ ყვავილებს.
სწუხან, აგონებთ ზამთარს.

იქნებ მზის ღიმილს ყველასთვის
ჯერ საიმედოდ არ თვლით?!
გაბედეთ, გაიზაფხულეთ
ამ ყვავილების ხათრით!

## შენ გაიხარე, მერცხალო!

არ დაგვივიწყე, მოფრინდი,
ბუდე მონახე, დაკხარი.
შენ გაიხარე, მერცხალო,
გაგვიხალისე სახლ-კარი.

ჩვენი ხარ, ჩვენში ბევრია
შენთვის, ჩიტუნავ, რაც გინდა.
ფრთა დაგილოცა ბებიამ,
რომ დაგინახა სარკმლიდან.

წამოდგა, კარი გაალო,
თვალი მოავლო ქვეყანას.
— მოვრჩიო,—თქვა და ნაღველი
გულიდან გადაეყარა.

რა ექნა! გაუდიდგულდა
მოსვლის დღიდანვე ზამთარი.
ავადმყოფობდა, მობეზრდა
ქარი, სიცივე, ავდარი.

სწუხდა, დიდსა და პატარას
საქმეში რომ ვერ შველოდა,
თითქოს მკურნალი იყავი,
შენს გამოჩენას ელოდა.

კარგ დროს მოფრინდი, ჩიტუნავ.
გაგვიზაფხულდა, მზეც გვწყალობს.
არ დააყოვნე ჭიკჭიკი,
შენ გაიხარე, მერცხალო!



ვ. ი. ლენინი: მეცნიერების წარმომადგენლებისა და მუშების თანამშრომლობა! მხოლოდ ასეთ თანამშრომლობას შეუძლია სილატაკის, სნეულებებისა და ჭუჭყის მძიმე უღლის მოსპობა. და ეს გაკეთდება კიდეც.

მეცნიერების, პროლეტარიატისა და ტექნიკის წარმომადგენლების კავშირის წინაშე ვერავითარი ბნელი ძალა ვერ გასძლებს.

კ. მარქსი: ყოველი დასაწყისი ძნელია — ეს ჭეშმარიტება მართებულია ყოველი მეცნიერებისათვის.

დ. მენდელეევი: (XIX საუკუნის რუსი მეცნიერი-ქიმიკოსი): მეცნიერების ნათესი ხალხის სამკალად აღმოცენდება.

ჰ. სპენსერი: (XIX საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსი): დიდი შეცდომაა საყოველთაოდ მი-

## აპრილი დიდი მხატვარი

**დილარ ივარდავა**

ზღვარს გადასული მდინარე ხვნეშის,
მზე დაღვრილია ათას ფერებად,—
აპრილი ყველას აგვიყვანს ხელში
და სათითაოდ მოგვეფერება.

თოთო კვირტები, როგორც ჩიტები,
თვალებს ახელენ ახალ ბუდეში,
ახლოს მივდივარ და ვაკვირდები:
კვირტი ფაჩუნობს როგორც ნუგეში.

ტყემლის სითეთრე,
ატმების ცეცხლი
ქრუანტელივით ტანზე გვედება,—
აპრილს ამდენი ოქრო და ვერცხლი,
ვილამ უბოძა შემოქმედებად?!

ყოველი ფერი, ირგვლივ რაც არი,
ყოველი შტრიხი ცისა თუ მიწის,
დახატულია დიდი მხატვარის
შთაგონებით და... უჩუმრად იწვის.

მწვანე აპრილი სიცოცხლეს იცვამს,
ჭრელი კაბით და ლურჯი თვალებით;
საყვარელია სამშობლოს მიწა
დროთა უწყვეტი ფერისცვალებით.



## როცა ხეები მზით გაბრუვდება

**ბაგუ მეზურიშვილი**

როცა ხეები
მონატრებულ მზით გაბრუვდება
და კვირტებიდან
გადმოყონავს თოთო სიმწვანე,
როცა ხეები
მონატრებულ მზით გაბრუვდება,—
მოემატება დედამიწას
სიგრძე, სიგანე.
გაებადრება ყვავილებით
სახე ბუნებას,
მოემატება უთვალავი
სიცოცხლის სუნთქვა...
გაებადრება ყვავილებით
სახე ბუნებას
და მკერდს სახნავად
მიაგებებს მინდორი გუთანს.
ზეცას ბავშვების
ქრიამული შეესხურება,
სიცოცხლეს უხვად
ჩაუდგება მუხლებში ძალა...
ზეცას ბავშვების
ქრიამული შეესხურება
და გაზაფხული გაულიმებს
სოფელს და ქალაქს.

ღებული აზრი, თითქოს მეცნიერება და პოეზია ორი, ერთმანეთს დაპირისპირებული რამ არის... არ არის მართალი, თითქოს მეცნიერების ჭეშმარიტებები მოკლებული იყოს პოეზიას. პირიქით, მეცნიერება თვალწინ გადაგვიშლის პოეზიის მთელ სამყაროს. ადამიანები, რომელთაც მთელი თავიანთი სიცოცხლე მეცნიერულ კვლევაძიებებს შესწირეს, მუდამ იმას გვიმტკიცებენ, რომ ისინი მარტო ყველა სხვა ადამიანის მსგავსად კი არა, უფრო ცოცხლადაც კი აღიქვამენ თავიანთი შესასწავლი საგნების პოეზიას.

დ. დიდრო (XVIII საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი): მეცნიერებათა თვალუწვდენელი სფერო მე მაქვს წარმოდგენილი ფართო ველად, რომელიც ბნელი და ნათელი ლაქებით არის მოფენილი. ჩვენი შრომის მიზანი ან ის არის, რომ გავაფართოვოთ ნათელი ლაქების საზღვრები, ან ის, რომ გავამრავლოთ ველზე სინათლის წყაროები. პირველი — გენიოსი შემოქმედის საქმეა, მეორე — გამჭრიახი გონებისა, რომელიც აუმჯობესებს საქმეს.

ი. ჯავახიშვილი: ...მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავისი გამოცნობილი ჭეშმარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დელ სახეს მიიღებს, წაუსტვენს კიდეც, იქვე მაღაზიაში შევა, ვიტრინაში დაწყობილ მზის სათვალეებს მიაჩერდება და, როცა გამყიდველი დაეჭვიანდება, ეს ბიჭი მთლად სანდო არ უნდა იყოსო, საჩქაროდ ჰკითხავს:

— ეს მზის სათვალეებია?

გამყიდველი ცერად გადმოხედავს.

— არის. მერე?

— ვნახავ ერთი!

— არ უნდა მაგას ნახვა!

— არ უნდა და, გქონდეთ! სხვაგან ვიყიდი.

გამყიდველი ალბათ ფიქრობს, ბიჭს კაპიკიც არ უჭყავის ჯიბეშიო. ძალიანაც ცდება, თუ ასე ფიქრობს. და იმის დასადასტურებლად, რომ „ძალიანაც ცდება", ოთია, თითქოს სრულიად შემთხვევით, ჯიბიდან სამმანეთიანს ამოიღებს, გაშლის, კარგად დახედავს და ისევ შეინახავს, მერე ჯიბეში რაღაცის ძებნას განაგრძობს, თან ნელ-ნელა სცილდება იმ ვიტრინას, სადაც შავი სათვალეები აწყვია. მართალია, ოთიას თავის ცხოვრებაში, ჯერჯერობით ამ სამმანეთიანის მეტი ფული არ ჰქონია, და მას იმდენი რამის ყიდვა აქვს ამ ფულით განზრახული... მზის სათვალე კი, ოთია შევარდნაძეს კიდეც რომ აჩუქო, შეიძლება არც გამოგართვას. რად უნდა!

ოთია მაღაზიიდან გამოვა და ქუჩას აუყვება. მერე შეჩერდება და მესაათის ფანჯარაში გამოფენილ სა-

**გიორგი ქეჭაღმაძე**

# სამაგიერო

მხატვარი
**დიმიტრი ერისთავი**

შუადღეა. ცხელა. ქუჩა გაუკაცრიელებულა. ამ თაკარაში გარეთ არავინ გამოდის. ადამიანები სახლებში შემალულან, საღამოს ელოდებიან. მარტო ოთია არ ეპუება სიცხეს. მესამე დღეა ამ პაპანაქებაში ქუჩაში სეირნობს. სწორედ იმ დროს არჩევს, მზე მწვავედ რომ დააჭერს. აივლის და ჩამოივლის, აივლის და ჩამოივლის. ხანდახან, როცა შეატყობს, რომ აქა-იქ ეჭვის თვალით უმზერენ, ოთია მეტისმეტად უდარათებს დააკვირდება. საათების მეტად უცნაური კოლექცია აქვს ამ მესაათეს: ზოგი ნახევრად დაშლილია, ზოგს მარტო სარქველი აქვს ახდილი, ზოგი ახალთახალია, ზოგი — ძველისძველი; ზოგი პატარაა, ზოგი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი. მინის იქით მესაათე ზის. თვალზე მოკლე, სქელმუშიანი მილი მიუკოსებია და ერთი ციცქნა საათის მექანიზმს ჩაჰკირკიტებს. დროდადრო თავს ასწევს და გამვლელებს დააკვირდება, თითქოს უნდა შეგახსენოს, თუ საათი გაგიჩერდა, შემოდი, ჩემზე უკეთეს ოსტატს ვერსად ნახავო. განსაკუთრებით იმას მიაშტერდება, ვინც თუნდაც წამით შეანელებს ნაბიჯს მის ფანჯარასთან. ამჯერად მას ოთია შერჩა ხელში.

— რა გინდა, ბიჭო? — ეკითხება მესაათე.

— არაფერი. რა უნდა მინდოდეს?

— წადი აბა, რას ამეყუდე მანდ!

— ვათვალიერებ. არ შეიძლება, რომ დავათვალიერო?

— წადი, წადი...

— მივდივარ, ვერ ხედავ?

ახლა ფეხსაცმლის მწმენდავის ფარდულთან შეაჩერებს ოთია ნაბიჯს. ძალიან ლამაზი ფარდულია. ზევით ფართოა, ქვევით თანდათან ვიწროვდება. აქ უფრო სტუმართმოყვრულად ხვდებიან, მაგრამ ამჟამად ფარდული დაკეტილია და ოთიაც გზას განაგრძობს.

ალბათ იკითხავთ, ეს ვიღაც ოთია პაპანაქება სიცხეში რას დახეტიალობს აღმა-დაღმა უცხო ქუჩაზეო. საქმე ის არის, რომ ოთიამ ერთ მეტიჩარა გოგოს ჭკუა უნდა ასწავლოს. აი, იმ ორსართულიან სახლში რომ ცხოვრობს, იმ გოგოს სამაგიერო უნდა გადაუხადოს. შეიძლება ერთიორჯერ წამოარტყას კიდეც. რა ვუყოთ, რომ გოგოა. დააშავე რამე? — პასუხიც უნდა აგო. გინდა გოგო იყავი და გინდა ბიჭი! ოთია არავის აპატიებს შეურაცხყოფას, ვერ მოითმენს უსამართლობას. მორჩა და გათავდა.

იკითხავთ, ისეთი რა უნდა დაეშავებინა იმ გოგოს, ვისი სახელიც კი არ იცის ოთიამო. ახლავე მოგახსენებთ.

ამ სამიოდე დღის წინათ ოთიამ ამ ქუჩაზე ჩამოიარა. სწორედ იმ დროს, გოგოს სახლს რომ გაუსწორდა. „წკრრ“ გაისმა და მინა ლაწანით ჩამოცვივდა. გაოცებული ოთია შეჩერდა. ფანჯარას დააკვირდა. მერე მიიხედ-მოიხედა. ეტყობა, ვიღაცამ ფანჯარას ქვა ესროლა, მაგრამ ვინ? უცებ სახლის კარი გაიღო და კაცი და ქალი გარეთ გამოცვივდნენ, მათ პატარა გოგოც გამოჰყვა. გოგომ თითი ოთიასაკენ გაიშვირა:

— ეგ იყო!.. ეგ იყო!..

რა იცოდა ოთიამ, რომ მეტად სამარცხვინო დღეში ჩავარდებოდა, თორემ იცოცხლე, დროზე მოუსვამდა აქედან და მერე თავის დღეში არ გაეკარებოდა ამ წყეულ ქუჩას. მაგრამ იმდენად მოულოდნელი იყო ეს საშინელი ცილისწამება, რომ დაიბნა და ადგილიდან ფეხიც ვერ დაძრა.

გოგო კი იჭაჭებოდა:

— ეგ იყო, ძია ნიკო, ეგ იყო!..

ამასობაში ძია ნიკომ, სქელმა, ბრაზისაგან გალურჯებულმა, თვალებგადმოკარკლულმა კაცმა, ოთია შევარდნაძეს ხელი სტაცა ყურში. სტაცა და მწარედ გადაუგრიხა, კინაღამ არ აახლიჩა. მერე რამდენჯერმე შემოატრიალა და მუჯლუგუნი ჰკრა.

— კიდევ გატეხავ?!. კიდევ?.. შე ცინგლიანო?!.

ამით დამთავრდა ეს სამარცხვინო, გაუგებრობით აღსავსე შემთხვევა. თუმცა არა, ერთი წვრილმანიც იყო, რასაც ოთია ყველაზე მძიმედ განიცდიდა. ხელი გაუშვეს თუ არა, მან, თითქოს პატარა ბიჭი ყოფილიყო, პირი დააღო და ღრიალი ამოუშვა:

— მე არ ვყოფილვააარ! მე არ მიქნიააა!

და მერე, კაცმა რომ იყვირა: ხედავთ, უარობს კიდეც, გამიშვით, მოვკლავო, თავქუდმოგლეჯილმა მოკურცხლა.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ოთია სამშვიდობოს იყო გასული და საშუალება მიეცა ყველაფერი აეწონდაეწონა, მიხვდა: გაცილებით უკეთესი იქნებოდა, არ აღრიალებულიყო და ასე სწრაფად არ დაეტოვებინა ბრძოლის ველი. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, იქვე უნდა განეცხადებინა მტკიცე პროტესტი. ამით ცოტათი მაინც იხსნიდა თავის ღირსებას. ასე დაუნდობლად შელახულსა და მიწასთან გასწორებულს. მაგრამ, მაშინ. ამ საშინელი უსამართლობით გულმოკლულმა, . ყურებახურებულმა, შეშინებულმა და გამწარებულმა, სხვა ვერაფერი მოიფიქრა. ვერ მოიფიქრა და ისეთი რამ ჩაიდინა, რაც ყველაზე ნაკლებად შეეფერებოდა ოთიას ვაჟკაცობას. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მტკიცედ: სამაგიერო მიეზღო მეტიჩარა გოგოსათვის, გული მოეფხანა შეურაცხყოფისათვისაც და თავის იმ ლაჩრობისათვისაც, რაც სრულიად უნებურად ჩაიდინა. პაპანაქება სიცხეში, სანამ მზე ასე გამმაგებით აცხუნებდა, მას უნდა მოესწრო „მტრის“ ხელში ჩაგდება, მისი ღირსეულად დასჯა და მიმალვა. ამ დროს ქუჩა ყოველთვის ცარიელი იყო და ოთიას ვერავინ დაიჭერდა.

მაგრამ გოგოც რომ არ გამოდიოდა გარეთ! აგერ, მესამე დღეა უდარაჯებს და თვალიც არ მოუკრავს მისთვის.

დღეს რამდენჯერმე ჩაუარა მისი სახლის ჭიშკარს. ბოლოს ზედ ჭიშკართან შეჩერდა და ფარდაჩამოფარებულ ფანჯრებს დააკვირდა. შიგ თითქოს ერთი სულიერიც არ ჭაჭანებდა.

ჭიშკართან ატუზული ოთია შურისძიებით ანთებული თვალებით მისჩერებოდა ორსართულიან სახლს.

მიიხედ-მოიხედა. თვალით ქვები მოძებნა.

„მართლა ვესვრი და ჩავამტვრევ... ჩავლეწავ ყველა ფანჯარას!..“ — გაუელვა აზრმა, დაიხარა კიდეც ქვების ასაკრეფად, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა ეს განზრახვა. ჰო, შეიძლებოდა ფანჯრების ჩალეწვა და დაუსჯელად მიმალვა, მაგრამ მაშინ ის სასჯელი, რომელიც მიიღო, კანონიერი აღმოჩნდებოდა. ოთიას კი აღარ უნდოდა სამართლიანად ყოფილიყო დასჯილი. მას რატომღაც ერჩია, უსამართლო სასჯელის სიმძიმე ეტარებინა.

ერჩივნა იმ გოგოსთან პირისპირ გაესწორებინა ანგარიში.

„აჰა, გამობრძანდი, როგორც იქნა? ახლა ველარსად წამიხვალ!..“

„ეს ვინ ყოფილა, — გზა მომეცი ახლავე!“

„გზა მომეციო! ჰა-ჰა-ჰა! ის როგორ იყო, მინის ჩამტვრევა რომ დამაბრალე? როგორ იყო? გაიხსენე ერთი!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დაგაბრალე? კი არ დაგაბრალე, შენ ჩაამტვრიე...“

„არაფერიც. მე არ ჩამიმტვრევია..“

„აბა ვინ ჩაამტვრია?“

„მე რა ვიცი, შენს სახლს ვდარაჯობდი თუ?..“

„ჰოდა, შენ ჩაამტვრიე“.

„ესე იგი, მე ვიყავი, არა?“

„შენ ბრძანდებოდი და მოგხვდა კიდეც!“

„მომხვდა?“

„მოგხვდა“.

„აბა, ესეც შენ!.. ესეც შენ!.. ესეც შენ!..“

„ტკაც!“ — გოგოს მარცხენა ლოყაზე, კიდევ „ტკაც!“ — მარჯვენაზე.

„რაო, კიდევ ხომ არ გინდა? ახლაც იტყვი, შენ იყავიო?!“

ოთიამ ნერწყვი გადაყლაპა. ასეთ რამეს რომ წარმოიდგენდა, აშკარა სიამოვნებას განიცდიდა. ტკბებოდა. ამ სამი დღის განმავლობაში ბევრჯერ წარმოიდგინა ამგვარი რამ.

მაგრამ, რომ არა ჩანს ის გოგო? იქნება სტუმარი იყო და წავიდა? აკი „ძია ნიკოო“, იძახდა. „მამიკოო“ რომ დაეძახნა, მაშინ ჰო!

ვაითუ მართლა სტუმრად იყო და წავიდა!

აი, ამას ვერ აიტანდა ოთია. მაშინ ნამდვილად ვერ გადაიტანდა შეურაცხყოფას.

და უცებ...

კარი გაიღო და...

ოთიამ დაინახა თავისი „მოსისხლე მტერი“!

გულმა გამალებით დაუწყო ძგერა. სახე წამოენთო. მღელვარებისა და გულის ძალუმი ბაგაბუგისაგან ყურებიც კი დაეხშო. მიიხედ-მოიხედა. ქუჩა ცარიელი იყო. დადგა ნანატრი წუთი. ოთია დაიძაბა.

გოგო კი უშიშრად გამოვიდა ქუჩაში, პირდაპირ ოთიასთან მივიდა და ჰკითხა:

— აქ რას აკეთებ? უცდი ვინმეს?..

რა თქმა უნდა, ოთიასათვის ასეთი გაბედული და პირდაპირი შეკითხვა მოულოდნელი იყო. იგი წამით დაიბნა. სანამ პასუხს მოიფიქრებდა, გოგომ უთხრა:

— წამოდი რა, ერთი წუთით. გეხვეწები...



თან ხელი მოჰკიდა მკლავზე.

— წამოდი რა... წამოდი...

ოთია გაშეშებული იდგა.

— დედა, რაღა ვქნა!.. წამოდი რა, შენი ჭირიმე!

— საად? — როგორც იქნა ამოიღო ხმა ოთიამ.

— სახლში. აი, იქ... — ხელი კარისაკენ გაიშვირა. მერე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ბიჭს მკლავი მოქაჩა.

ოთია ნელა დაიძრა.

რაკი გული დაიარხეინა, ბიჭი მომყვებაო, გოგო დაფეთებული წინ-წინ გაიქცა.

ჯერ ერთ ოთახში შევიდნენ, მერე — მეორეში. ეს დარბაზი უფრო იყო, ვიდრე ოთახი. კედელთან წიგნებით გამოტენილი და საიმედოდ კარდახშული უშველებელი კარადა იდგა, მის გვერდით — მუქი პიანინო, მერე — დივანი. მერე — სავარძლები, და ვინ იცის, კიდევ რა! შუა ოთახში მაგიდა იდგა. რა არ ეწყო ზედ: დიდი, ზღვისფერი საფერფლე, რაღაც უცნაური ცხოველის მსგავსი, ასევე უცნაური ფორმის შავციფერბლატიანი მაგიდის საათი, უზარმაზარი ალბომი...

გოგო მაგიდასთან მივიდა, საათს ხელი სტაცა და ოთიას მიაწოდა:

— ნახე...

— ა?

— გამომართვი.

ოთიამ გამოართვა საათი. ისე ეჭი-



რა, თითქოს ეშინოდა არ მიკბინოსო.

— აღარ მუშაობს., — თქვა გოგომ და ამოიხვნეშა.

— მერე რა ვქნა მე, თუ არ მუშაობს?! — გაუკვირდა ბიჭს.

— გააკეთე რა, შენი ჭირიმე, გააკეთე. გეხვეწები.

— გავაკეთო?

— ჰო, გააკეთე... აამუშავე, სანამ მამიდაჩემი მოვიდოდეს. მომკლავს, ასე რომ დახვდება. იატაკზე დამივარდა და გაჩერდა. გააკეთებ? ხომ გააკეთებ?

ცხადია, გოგოს წამითაც არ შეპარვია ეჭვი, რომ საათის შეკეთება ოთიასათვის მეტად უმნიშვნელო რამ იყო, რომ იგი ამას რამდენიმე წუთში გააკეთებდა, თუ, რა თქმა უნდა, არ დაიზარებდა.

ოთია ღრმად ჩაფიქრდა. საათს შეხედა.

იქნებ მართლაც შეუძლია? ყოველ შემთხვევაში, შეუძლია სცადოს. ძნელი იყო საკუთარი უმწეობის აღიარება. მით უმეტეს ახლა, როცა ღრმად სწამდათ მისი სიმარჯვისა.

— მომიტანე რამე, — უთხრა გოგოს ისეთი კილოთი, რაც გამოხატავდა: ძალიან კი მეზარება, მაგრამ არ მოეშვები კაცს და, რა გზა მაქვს, გავაკეთებო.

— რა მოგიტანო?

— რამე ხელსაწყო. მეტი რა...

გოგო გაიქცა და მაშინვე მოარბენინა ჩაქუჩი, პატარა ცული, ხერხი, სხვადასხვა ზომის ლურსმნები, ქანჩსალებები. ოთიამ, ყველაფერი ეს რომ დაინახა, თავი გადაიქნია, — რა სულელი ვინმეაო, გაიფიქრა, მაგრამ არაფერი უთქვამს, რადგან გაახსენდა, რომ ჯიბეში პატარა, მრავალპირიანი ჯაყვა ედო. დანა ამოიღო, გახსნა და საათის დაშლას შეუდგა.

გოგო გაფაციცებით ადევნებდა თვალს, გარს უვლიდა იატაკზე მჯდარ ოთიას. ხან პირისპირ დაუჯდებოდა. ხან ჩაიჩოქებდა, ხან მუხლებზე ხოხავდა. ერთი სიტყვით, არ იცოდა, რით დახმარებოდა ამ გულკეთილ ბიჭს. ასწევდა თუ არა თავს ოთია, მაშინვე თვალებში მიაჩერდებოდა, ცდილობდა უსიტყვოდ გამოეცნო ყოველი მისი სურვილი. მაგრამ ოთია არაფერს ანიშნებდა, არც არაფერს ამბობდა. საერთოდ, იგი მეტად სიტყვაძუნწი გახლდათ. იჯდა და მუშაობდა. მალე იატაკი საათის მექანიზმებით დაიფარა.

— დავშალე, — თქვა ბოლოს ოთიამ და თავისუფლად ამოისუნთქა. გოგომაც ერთბაშად იგრძნო შვება. ოთიას მადლობის ნიშნად თვალებში შესცინა.

— ახლაააწყე, — შეახსენა ბიჭს.

— ავაწყობ, — დაჰპირდა ოთია და მუშაობა განაგრძო. ვერაფერს გეტყვით, რას ფიქრობდა იგი, რის იმედი ჰქონდა, ნუთუ სასწაულისა? — ალბათ! იმედი მაინც იმედია და, ვისაც თავისი საქმის კეთილად დაგვირგვინების რწმენა არა ჰქონია, არა გვგონია თავის დღეში რამე ხეირიანი შეექმნას.

მაგრამ სასწაული არ მომხდარა და, როგორც მოსალოდნელი იყო. საათის მექანიზმის ნახევარი იატაკზე დარჩა. ოთიამ აწყობილი საათი ხელში რამდენჯერმე შეატრიალა. მერე ადგა, წელში გასწორდა.

გოგო უპატრონოდ დარჩენილ ნაწილებს დასცქეროდა. ეტყობოდა. რაღაცამ დააეჭვა.

— მუშაობს? — შიშით იკითხა გოგომ.

ოთიამ საათი ყურზე მიიდო. მერე ციფერბლატს დააკვირდა.

— მგონი არა.

ახლა გოგომაც მიიდო ყურზე საათი, ციფერბლატსაც დახედა.

ცუდად იყო საქმე.

— რა ვქნათ? — გოგოს შიშითა და სასოწარკვეთილებით ჰქონდა თვალები სავსე.

— რა ვიცი მე... თუ გინდა მესაათეს მივუტანოთ. საათის აწყობა შენ ასე ადვილი გგონია? უთო რომ იყოს, ან ელექტროქურა, ხელად გავაკეთებდი, მაგრამ საათი სხვა საქმეა...

— უთოც მაქვს! — წამოიძახა გოგომ და წამით სახე გაებადრა, — მე გავაფუჭე!

— საათს მესაათის გარდა ვერავინ შეაკეთებს, — უთხრა ოთიამ.

— მერე, ფული? მესაათე უფულოდ რომ არ შეაკეთებს?

— რა ვიცი... მე... ფული... — ოთია ჩაფიქრდა. —მე მაქვს! — დაუმატა მერე..

სულ მალე ორივენი მესაათის ფანჯარასთან იდგნენ. გოგოს საათი ეჭირა ხელში, ოთიას — მექანიზმის მორჩენილი ნაწილები.

მესაათემ ერთხანს იბუზღუნა, მერე ოთიას სამმანეთიანი ჯიბეში ჩაიკუჭა და საქმეს შეუდგა. ნახევარი საათის შემდეგ უკან გამობრუნდნენ. გოგო ატიკტიკებულ საათს ხან ყურზე მიიდებდა, ხან ციფერბლატს დახედავდა და, როცა დაინახავდა, რა გამალებით გარბოდა პატარა ისარი, შეხტებოდა და შეიკუნტრუშებდა, ოთიას მხარზე ჩამოეპროწიალებოდა. რაღაცას ტიტინებდა, იცინოდა, მღეროდა... თავის დღეში არ ენახა ოთიას ასეთი უცნაური გოგო.

ჭიშკართან რომ მივიდნენ, ბიჭი შეჩერდა.

— ახლა წავალ.

— უთო?

— უთოს მერე შევაკეთებ.

ოთია შინ უნდა დაბრუნებულიყო, საჩქაროდ უნდა დაეშალა თავიანთი ახალთახალი უთო, რომ კარგად შეესწავლა მისი მოწყობილობა.

— ჰოო, კარგი, — თქვა გოგომ.

ოთია იდგა და ყოყმანობდა. მას ახლაღა გაახსენდა, ამ ცოტა ხნის წინათ რა ბოროტი განზრახვა ედო გულში. გაიფიქრა, ვეტყვი მაინც, ტყუილუბრალოდ რომ ცილი დამწამაო.

— შენ გგონია... მაშინ ის ფანჯარა... — შეჩერდა და შეყოყმანდა.

— რა სთქვი? — ჰკითხა გოგომ, — რომელი ფანჯარა?

ოთიას თვალწინ წარმოუდგა ის სამარცხვინო სურათი, ძია ნიკომ ყურები რომ გადაუგრიხა და მუჯლუგუნი ჰკრა. გაახსენდა, ცინგლიანი ბიჭივით რომ დააღო პირი და მთელი ქუჩის გასაგონად აღრიალდა: „მე არ ვყოფილვარ, მე არ მიქნიაო“, და ბოლოს, რა ლაჩრულად მოკურცხლა შინისკენ...

მაშინვე ენას კბილი დააჭირა და შიშით შეხედა გოგოს. რატომღაც აღარ უნდოდა გაეხსენებინა მისთვის, რომ ის უსამართლოდ დასჯილი ბიჭი და ოთია შევარდნაძე ერთი და იგივე პიროვნებანი იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დილა 40 წლისაა

ჩემო პატარა მეგობრებო, ჟურნალ ,,პიონერის" მკითხველებო!

ჯერ კიდევ გუშინ თქვენ ჩვენი ჟურნალის მკითხველები იყავით. ბევრ თქვენგანს. ალბათ, დღესაც კარგად ახსოვს ჟურნალ ,,დილის" ფურცლებზე წაკითხული ლექსი, მოთხრობა თუ ზღაპარი. და განა მარტო თქვენ?! დრო იყო, ჟურნალ ,,დილას" გატაცებით კითხულობდნენ თქვენი მშობლებიც...

ჩვენი ჟურნალი ხომ წელს 40 წლისა გახდა!

,,დილას" პირველად ,,ოქტომბრელი" ერქვა. ,,ოქტომბრელი" ოცი წლისა იყო, ,,დილა" რომ დაარქვეს. ,,დილამ" თავისი არსებობის მანძილზე არა ერთი მკითხველი აღუზარდა ჟურნალ ,,პიონერს". ,,პიონერმა" და ,,დილამ" კი ბარეორი ნიჭიერი მწერალი შესძინეს ჩვენს ეროვნულ ლიტერატურას. თქვენთვის კარგად ცნობილმა ბევრმა საბავშვო მწერალმა და მხატვარმა თავისი პირველი ნაწარმოები ,,დილისა" და ,,პიონერის" ფურცლებზე გამოაქვეყნა. ჩვენი ქვეყნის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე 30-40 წლის წინათ ,,დილის" და ,,პიონერის" პატარა მკითხველი იყო. ,,დედა ენაში" დაბეჭდილი მასალების დიდი ნაწილი პირველად ჩვენს ჟურნალშია გამოქვეყნებული.

ცხადია, 40 წლის გამოცდილებას უკვალოდ არ ჩაუვლია. თანდათანობით საგრძნობლად ამაღლდა ჟურნალის მხატვრული დონე და ბეჭდვის ხარისხი. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ ,,დილის" ადრინდელი და ბოლოდროინდელი ნომრები. ამავე თვალსაზრისით არანაკლებ საგულისხმოა თვით ჟურნალის თავდაპირველი და დღევანდელი ტირაჟების ურთიერთშეფარდება. თუ არსებობის პირველ წლებში ჩვენი ჟურნალის ტირაჟი ათასს ძლივს აღემატებოდა, წელს ასიათასს გადააჭარბა.

რედაქციის ამოცანაა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახადოს ჟურნალი. ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე სტუმრად ვიწვევთ მოძმე და დემოკრატიული რესპუბლიკების საბავშვო ჟურნალებს, ვბეჭდავთ იქ გამოქვეყნებული ნაწარმოებების თარგმანებს. თითქმის ყოველ ნომერში, ჩვენი მხატვრების ნამუშევრების გვერდით, ვაქვეყნებთ მოძმე და უცხოელი მხატვრების უტექსტო და ტექსტიან ხუმრობა-ნახატებს, სხვადასხვა ხალხის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. ახლახან, ჩვენი პლანეტის ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს ძალდაუტანებლად გაცნობის მიზნით, გაგრძელებებით დავიწყეთ ბეჭდვა ვრცელი მოთხრობისა — ,,სიზმარას ავტობუსი", რომელმაც, ჩვენი აზრით, იგივე საქმე უნდა გააკეთოს, რასაც აქამდე ამავე ჟურნალში არსებული ,,ბუნების კარი" აკეთებდა; ოღონდ, ,,ბუნების კარისაგან" განსხვავებით, ეს მოთხრობა მხატვრულ-იუმორისტული ფორმით მიაწვდის ცოდნას მკითხველს.

მომდევნო ნომრებიდან მსოფლიო გეოგრაფიის გასაცნობად, დავიწყებთ კიდევ ერთი ვრცელი იუმორისტული მოთხრობის — ,,გატეხილი გლობუსის" ბეჭდვას.

ერთი სიტყვით, ცდას არ დავაკლებთ, რომ თქვენი უმცროსი და-ძმანი, ჩვენი ჟურნალის მკითხველები, ყოველი ახალი ნომრით გავახაროთ.

თქვენთვის ჯანმრთელობა, პატიოსნება და ბეჯითი სწავლა გვისურვებია, თქვენი საყვარელი ,,პიონერისათვის" — ახალ-ახალი წარმატებები!

მუხრან მაჭავარიანი,

*ჟურნალ ,,დილის" მთავარი რედაქტორი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვის არ მოხიბლავს მუდამ კამკამა, ლაჟვარდისფერი ტბა „ნური გული“

# ერთობიან, სწავლობენ

ლაღად შრიალებენ ცადაწვდენილი ქადრები, მხრები ფართოდ გაუშლიათ გოლიათ მაგნოლიებს, ნებივრად ირწევიან კვიპაროსები, საამო სურნელებას აფრქვევენ ფერად-ფერადი ყვავილები...

თაღებიანი შემოსასვლელიდან წითელყელსახვევიანთა გუნდი და გუნდი შემოდის. მთელ პარკს ნორჩების ხალისიანი ჟრიამული ავსებს.

ეს ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკია, რომლის მშვენებაა ლივლივა ტბა „ნური გული“.

ოდესღაც „ნური გულის“ ახლომახლო კოლოების საბუდარი ჭაობები, გაუვალი ეკალ-ბარდები იყო. აბა ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ეს ადგილი ბავშვთა შესანიშნავი გართობისა და დასვენების კერად გადაიქცეოდა.

მაგრამ ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი მარტო გართობა-დასვენების ადგილი როდია. აქ 400-მდე ბავშვია გაერთიანებული სხვადასხვა წრეში. საწყლოსნო სპორტის მოყვარულები წყლის თხილამურებით დასრიალებენ ტბაზე. ნორჩი ნატურალისტები მცენარეთა მოვლა-გახარებას სწავლობენ, ყვავილებს რგავენ, ცდებსა და დაკვირვებებს ატარებენ. ბევრი გოგონა და ბიჭი ფოტოგრაფიასა და ფერწერის ხელოვნებას ეუფლება.

პარკს აქვს საკუთარი პიონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს გოგონები პარკის ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები არიან.



დიდხანს დაამახსოვრდებათ პარკის აქტივისტებს ძველ რევოლუციონერთან ა. კილასონიასთან შეხვედრა.



რა ლამაზია ჩვენი საყვარელი მხარე! მოგზაურობას რაღა სჯობს. თვალს ახარებს კლდიდან ერთი გადმოხედვა.

რული თეატრი, საინტერესო შეხვედრების, მეგობრობის, მხიარულთა და საზრიანთა კლუბები. ნორჩთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „გაზაფხულს" ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც იცნობენ. ამ ანსამბლმა მოიარა მოსკოვი, რიგა, ბაქო, თბილისი. იყო ლენინგრადშიც, სადაც მრავალი კონცერტი გამართა. ქდანოვის სახელობის ლენინგრადის პიონერთა სასახლემ „გაზაფხული" საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ბათუმელ პიონერებს აქვთ საკუთარი გემი „პიონერი". აქ აღზრდილი ბევრი ნორჩი მეზღვაური ახლა უშიშრად დაცურავს შორეულ ზღვებსა და ოკეანეებში. თბომავალ „პიონერის" ყოფილი მეზღვაური თ. მაქაცარია ამჟამად ხომალდ „საქართველოს" კაპიტანია, ნ. მხატვარი შორეული ნაოსნობის შტურმანია, თ. ოსეფაშვილი — „ლებედის" მექანიკოსი... ნორჩი მეზღვაურები თბომავალ „პიონერზე" მუყაითად სწავლობენ გემის მართვას, სამანქანო მოწყობილობებს... ისინი ხელნაწერ გაზეთსაც უშვებენ.

პარკში ჩამოყალიბებულ ჭადრაკის კლუბში 60 ბავშვია გაერთიანებული, მათგან სამი უკვე პირველთანრიგოსანია, 22 კი — მეორე და მესამე თანრიგოსანი.

პარკის აქტივისტი პიონერები გულმოდგინედ ეცნობიან მშობლიურ მხარეს, ხშირად აწყობენ ექსკურსიებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: იმოგზაურეს მესხეთ-ჯავახეთში, მცხეთაში, ქუთაისში, ცხაკაიაში, მახარაძეში.

პიონერებმა ვალიდა ხუხუნაშვილმა და ნაზი დოლიძემ ბათუმის სამკერვალო ფაბრიკისა და მანქანათმშენებელი ქარხნის ისტორია შეისწავლეს და ამ საწარმოთა მუშაობის ამსახველი ფოტოალბომები შეადგინეს. ფოტოალბომებისათვის ისინი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელებით დაჯილდოვდნენ.

პარკში ხშირად ეწყობა ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები, ტარდება ნორჩ მკითხველთა კონფერენციები, ლიტერატურული დილები და საღამოები. პარკის ხელნაწერ ჟურნალ „ცისარტყელის" ყოველი ნომერი მიმზიდველია შინაარსობრივადაც და გაფორმებითაც. აქ ნახავთ ბევრი ნორჩი ავტორის ლექსებს, მოთხრობებს, ჩანახატებს...

10663

პიონერ-მოსწავლენი დიდად დააინტერესა კონკურსებმა: „50 გაზაფხული" და „საუკეთესო ეზოს სახელისათვის". კონკურსებში გამარჯვებულნი კომკავშირის საქალაქო კომიტეტის სიგელებით დაჯილდოვდნენ.

პარკის აქტივისტები ამჟამად გულმოდგინედ ემზადებიან ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ბათუმელი პიონერების საყვარელი პარკი ხომ დიდი ბელადის სახელობისაა!

შალვა მახარაძე.





რეიდზე დგას „პიონერი" — ბათუმელ ნორჩ მეზღვაურთა სასწავლო გემი.

დიდი სიხარულით შეხვდნენ პიონერები თავიანთი პარკის საპატიო სტუმარს, სახელმოხვეჭილ მსახიობს ვასო გოძიაშვილს.



საწყლოსნო სპორტის მოყვარულები ხალისიანად მიეშურებიან „ნური გულისაკენ".



# საფრანგეთის რევოლუციისა და იმპე

კიტი მაჩაბელი

საფრანგეთის დიდმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ (1789 წ.) ევროპის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას თავისი კვალი დაატყო. ანტიკური ხელოვნების მემკვიდრეობისადმი ახლებური ინტერესი ილვიძებს, ხდება მათი გააზრება. ილვიძებს ადამიანის პიროვნებით გატაცება, რასაც ხელი შეუწყო ვეზუვის ამოფრქვევის დროს დაღუპული ანტიკური ქალაქების — ჰერკულანუმისა და პომპეუსის გათხრებმა. საფრანგეთის განმანათლებელნი მხატვრებს და მოქანდაკეებს მოუწოდებდნენ უფრო ახლოს ყოფილიყვნენ ბუნებასთან. ეს პრინციპიც ანტიკური ხელოვნების მიერ იყო ნაკარნახევი. XVIII საუკუნის დასასრულისათვის ევროპის ყველა ქვეყანა კლასიკური ხელოვნებით იყო გატაცებული.



ფალკონე. ზამთარი.

ახალი გზების ძიებები ყველაზე საგრძნობი ქანდაკებაში იყო. ამ პერიოდის მოქანდაკეებიდან ყველაზე მეტად ყურადღებას იპყრობს ქანდაკების დიდი ოსტატი ფალკონე (1716-1791), პეტრე პირველის ცხენოსანი ქანდაკების „ბრინჯაოს მხედრის“ ავტორი. ფალკონე მდაბიო წრიდან იყო გამოსული, მამამისი უბრალო დურგალი იყო, მაგრამ ნიჭიერმა მოქანდაკემ გადალახა ყველა სიძნელე და შეძლო დაუფლებოდა ქანდაკების ხელოვნებას საფრანგეთის ცნობილ მოქანდაკეთა ხელმძღვანელობით. ფალკონე გულდასმით სწავლობდა ანტიკური ხელოვნების ძეგლებს, ცდილობდა ჩასწვდომოდა ძველ ოსტატთა საიდუმლოებას. ფალკონეს ბევრ სკულპტურულ ნამუშევარში იგრძნობა ანტიკური ხელოვნების ზეგავლენა. ასეთია, მაგალითად, მისი „მილონ კროტონელი“, რომელიც სხეულის პლასტიკის ექსპრესიულობით და დინამიური კომპოზიციით ხასიათდება.

ფალკონე ბევრს მუშაობდა მცირე პლასტიკის დარგშიც. საქვეყნოდ გაითქვა სახელი მისმა ნამუშევარმა, სევრის ფაიფურის მანუფაქტურისთვის, სადაც ის წლების განმავლობაში მხატვრულ ხელმძღვანელად მუშაობდა. მისმა ამ მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი საფრანგეთის ფაიფურის ხელოვნების განვითარებას. მაგრამ ფალკონეს ნამდვილი გატაცება მაინც მონუმენტური ქანდაკება იყო, ხელოვანმა მას შესწირა თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები. მისი საუკეთესო ქმნილება — „ბრინჯაოს მხედარი“ — ღირსეულად ითვლება XVIII საუკუნის ქანდაკების ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად.

ფალკონეს მოწაფე იყო ფრანგი მოქანდაკე ქალი მარი ანა კოლო (1748-1821). მან გამოძერწა პეტრე პირველის თავი ფალკონეს მიერ შექმნილი მონუმენტური ცხენოსნის ქანდაკებისათვის. ეს ქანდაკება ლენინგრადის რუსულ მუზეუმში ინახება. კოლო რამდენიმე ხანს რუსეთში ცხოვრობდა, სადაც რუსეთის მეფის კართან დაახლოებულ პირთა რამდენიმე სკულპტურული პორტრეტი შექმნა.

XVIII საუკუნის II ნახევრის რეალისტური პორტრეტული ქანდაკების უდიდესი ოსტატი იყო ჟან ანტუან ჰუდონი (1741-1828). იგი იმ ახალი თაობის პირმშო იყო, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული რევოლუციის მგზნებარე ეპოქასთან. მან უარყო წინა ეპოქის დახვეწილი, რაფინირებული ხელოვნების ძველი მანერულობა და ცდილობდა საკუთარი, დამოუკიდებელი გზით ევლო. მისი ყოველი პორტრეტი განუმეორებელი, თავისებური ხასიათია, კომპოზიციურად ახლებურად არის გააზრებული და ადამიანის ხასიათიდან, მხატვრული ამოცანიდან გამომდინარეობს. ჰუდონმა 150-ზე მეტი პორტრეტი შექმნა. ესენია: 1789 წლის რევოლუციის მოღვაწის — მირაბოს, განთქმული ბუნებისმეტყველის ბიუფონის, კომპოზიტორ გლიუკის პორტრეტები.

ჰუდონის სკულპტურული პორტრეტები უაღრესად მარტივია, ისინი მოკლებულია გარეგნულ ეფექტს, სხვადასხვა ატრიბუტებს, ალეგორიულ მოტივებს. ეს სიმარტივე მოქანდაკეს საშუალებას აძლევდა ყურადღება გაემახვილებინა ადამიანის შინაგან ბუნებაზე, მთელი სიმძიმე პორტრეტის ფსიქოლოგიურ დახასიათებაზე გადაეტანა.

ჰუდონის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს დიდი ფრანგი მოაზროვნეების დიდროს, რუსოს და ვოლტერის პორტრეტები. სწორედ ვოლტერის ქანდაკებამ მოუტანა ჰუდონს საყოველთაო აღიარება. ვოლტერის მარმარილოს ქანდაკება ჰუდონმა რუსეთის მეფის ეკატერინე II-ის შეკვეთით შეასრულა. ახლა იგი სახელმწიფო ერმიტაჟის დარბაზს ამშვენებს (ვოლტერის ქანდაკების მეორე ვარიანტი პარიზშია, ფრანგული კომედიის თეატრის ფოიეში).

დიდი ფრანგი მოაზროვნე სავარძელში მჯდომარეა გამოსახული, იგი ანტიკური სამოსელითა და ფილოსოფოსის თავსაკრავით არის დამშვენებული.

დიდი ოსტატობით არის გადმოცემული მოხუცი ფილოსოფოსის ცოცხალი მზერა, ხელების დაძაბული მოძრაობა, სარკასტული ღიმილი, ბრწყინვალე პოლემისტის ირონია. ვოლტერის ქანდაკება რეალისტური ნაწარმოებია. იგი XVIII საუკუნის კლასიციზმის ეპოქის საუკეთესო პორტრეტების — ე. წ. რეალისტურ-ფსიქოლოგიური პორტრეტების ჯგუფს მიეკუთვნება. ამ ისტორიულ პორტრეტში მთელი ეპოქაა ასახული. საინტერესოა ამ ქანდაკების თავგადასავალი. თავდაპირველად იგი, ეკატერინე II-ის ბრძანებით, ცარსკოე სელოს ე. წ. ანტიკების დარბაზში ანტიკური ქანდაკებების ასლებს შორის მოათავსეს. თვით ეკატერინე II ასე წერდა ერთ-ერთ თავის წერილში: „ვოლტერი მშვენივრად მოთავსდა აქ. იგი სჭვრეტს ყოველივე საუკეთესოს, რაც კი არის ანტიკურ და თანამედროვე ქანდაკებათა შორის“.

ბევრი უკუღმართობა გადახდა ვოლტერის ქანდაკებას. რეაქციის წლებში დიდი ფრანგი განმანათლებლის პორტრეტი რუსეთის მეფის კაპრიზების გამო, ხშირად იცვლიდა ადგილსამყოფელს დამხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს მოხვდა ერმიტაჟში, სადაც საბოლოოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი.



დავით დ' ანჟერი. მსახიობ ტალმას პორტრეტი.

საფრანგეთის რევოლუციის იდეები დიდი ხნის განმავლობაში იყო შთაგონების წყარო ხელოვნების ყველა დარგის მოღვაწეებისათვის. მაგრამ ნაპოლეონის დიქტატურამ თავისი დაღი დაასვა ხელოვნების განვითარებას. ხელოვნება უფრო ცივი, პარადული, გარეგნული ეფექტებით შელამაზებული გახდა. საგრძნობი იყო ცრუ პათოსის ნიშნები. ნაპოლეონის დიქტატურა აცხადებდა, ხელოვნებას ამჯერად კლასიკური მემკვიდრეობა დაედება საფუძვლად, მაგრამ ახლებური თვალსაზრისით. ხელოვნება მკაცრად რეგლამენტირებული გახდა, მხატვრებსა და მოქანდაკეებს სახელმწიფო უწევდა მეთვალყურეობას. ხელოვნებამ მიზნად იმპერიის განდიდება. გარეგნული ბრწყინვალება და ადამიანთა გონების დათრგუნვა დაისახა.

გამძვინვარებულ რეაქციას და ფეოდალურ ჩაგვრას ხალხის რევოლუციური პროტესტი მოჰყვა, რაც ლიტერატურასა და ხელოვნებაში რომანტიზმის სახით გამოიხატა. ფრანგული პროგრესული რომანტიზმი პოლიტიკური რეაქციის წინააღმდეგ მძაფრი რევოლუციური პროტესტით იყო გამსჭვალული. ეს ახალი მიმდინარეობა ბრძოლას უცხადებდა კლასიციზმის დაწესებულ კანონებს, მის ნორმებს; რომანტიკოსები შემოქმედების სრულ თავისუფლებას მოითხოვდნენ, ისინი ცდილობდნენ სრულად აესახათ ხელოვნებაში ეროვნული თავისებურებები, ხელოვნების საშუალებებით გადმოეცათ ადამიანის განცდებისა და გრძნობების მთელი სიმდიდრე.



ჰუდონი. ბიუფონი.

რომანტიზმმა უფრო სრულად იჩინა თავი ფერწერასა და გრაფიკაში. ფრანგი რომანტიკოსები უპირატესობას ანიჭებდნენ ისტორიულ სიუჟეტებს, თანამედროვეობის განსაკუთრებულ მოვლენებს; პორტრეტში მათ ადამიანის დაძაბული სულიერი ცხოვრების გადმოცემა იზიდავდათ. ქანდაკებაში რომანტიზმის ყველაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ **დავით დ' ანჟერი** (1789-1859), **ფრანსუა რიუდი** (1789-1855) და **ანტუან ლუი ბარი** (1796-1875).

დავით დ' ანჟერი რომანტიზმის ეპოქის საუკეთესო პორტრეტისტი იყო. მან პორტრეტების მთელი სერია შექმნა — ლამარტინის, პაგანინის და სხვა მოღვაწეთა პორტრეტები, აგრეთვე ფრანგი მწერლების პორტრეტული მედალიონები, რომელთაც ადტაცებით მოიხსენიებდა გოეთე. ამ მრავალრიცხოვან მედალიონებზე მან აღბეჭდა და შთამომავლობას დაუტოვა სიტყვის უდიდესი ოსტატების — ალფრედ დე მიუსეს, სტენდალის, ჟორჟ სანდისა და სხვათა სახეები.

ფრანსუა რიუდი ქანდაკების ჭეშმარიტი ნოვატორი იყო. ჰუდონთან ერთად იგი ფრანგული ქანდაკების უდიდეს ოსტატთა რიცხვს ეკუთვნის. იგი ავტორია ფრანგული ქანდაკების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოებისა — გრანდიოზული რელიეფის — „მარსელიეზისა", რომელიც ამკობს სატრიუმფო თაღს ეტუალის მოედანზე (პარიზში). ეს საფრანგეთის რევოლუციისადმი მიძღვნილი ბრწყინვალე ნაწარმოებია, ალეგორიული ხელოვნების საინტერესო ნიმუშია. ეს ორსართულიანი რთული კომპოზიცია დაგვირგვინებულია ფრთოსანი ქალის სიმბოლური ფიგურით, რომელიც რევოლუციურ მგზნებარებას განასახიერებს, ერთი შეხედვით გიტაცებთ რელიეფის გმირული პათოსი. რელიეფის ცენტრში აბჯარასხმული, წვეროსანი მამაკაცია, რომელიც ჭაბუკს მოუხმობს, მისი ზეაღმართული ხელი ბრძოლისაკენ მოუწოდებს. ადამიანთა მძაფრი, კონტრასტებით აღსავსე მოძრაობა თავის კულმინაციას ჰპოვებს ფრთოსანი ქალის აფრიალებული სამოსის დამუშავებაში. ქალი თითქოს აღაფრთოვანებს ხალხს ბრძოლისათვის. ქალის მეტყველ სახეში თავს იყრის ხალხის რევოლუციური სწრაფვის ძლიერი გრძნობები.

**ფალკონე.** ვენერა.



# -ციის ეპოქის ქანდაკება



**ბარი.** ლომი.

ამ რელიეფში კარგად არის შეხამებული მითოლოგია და რეალობა. მეომრებს ანტიკური სამოსელი აცვიათ. ფიგურებში ნატურის ცოდნა იგრძნობა. მოძრაობა უდიდესი ოსტატობით არის გადმოცემული. რელიეფი მაღალია. ფართოდ არის გამოყენებული შუქ-ჩრდილის ეფექტები.

რიუდის თანამედროვე იყო გამოჩენილი მოქანდაკე-ანიმალისტი **ანტუან ლუი ბარი.** მისი ქანდაკებები გამოირჩევა ფორმების მძლავრი დამუშავებით, ცხოველის ძლიერი კუნთოვანი სხეულის ექსპრესიული გადმოცემით.

XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ქანდაკების განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საფრანგეთის განმანათლებლურ იდეებთან. საფრანგეთის დიდი სოციალური ძვრების პირმშო — ფრანგული ქანდაკება — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ქანდაკების განვითარებაში. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნის პლასტიკამ უდიდესი როლი შეასრულა ევროპული ხელოვნების მთელ შემდგომ განვითარებაში.

# გელა ნათელაშვილი

გელა ნათელაშვილი XVIII საუკუნის სახალხო გმირია. იგი დუშეთის, სოფელ ბაზალეთის მკვიდრი იყო. მისი გვარეულობა ვერძეულებისაგან მომდინარეობდა, ამიტომ იგი ზოგჯერ ვერძეულად იხსენიება. გელას მამა გარეშე მტრებთან ბრძოლაში დაღუპულა. ობლობაში გამოზრდილი გელა თავიდანვე გმირული სულით, უტეხი ნებისყოფით, სამშობლოს სიყვარულით გამოირჩეოდა.

ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო ბაზალეთელი გელა ნათელაშვილი, რაზმი რომ შეადგინა. ეს რაზმი ჯერ არაგვის ხეობაში ებრძოდა მტრის ურდოებს, შემდეგ — თრიალეთის სანახებში.

გელა ნათელაშვილის გმირობისა და მამულისადმი თავდადების ამბები საქართველოს სამეფო კარამდეც აღწევდა. თვით მეფე ერეკლე მეორე დაინტერესდა გელა ნათელაშვილის ნახვითა და გაცნობით.

ხალხური გადმოცემით, ერთხელ ერეკლე მეფე ანანურში ავიდა. იქ მან გელა ნათელაშვილი იკითხა. როცა ეს გელას შეატყობინეს, შეფიქრიანდა: ვაითუ ჩემზე აუგი რამ უთხრეს მეფეს და ამიტომ მიბარებსო. გელას მოხუცი დედაც თან წაჰყვა ერეკლესთან. მალე ორივენი მეფეს წარუდგნენ. მეფემ გელას ჰკითხა, ეგ ქალი ვინღა არისო. „დედაჩემია, შენი კვნესამე", — უთხრა გელამ. ახლა დედამ მიმართა მეფეს: „დიახ, მეფეო, დედა ვარ, იქნებ დააბეზღეს ჩემი შვილი, განა ქვეყანაზე ცოტა შეცდომა ხდება!" „მეფეო, — განაგრძო გელამ, — მე საქართველოს მტრების განადგურების მეტი არაფერი ჩამიდენია".

მეფე მოიხიბლა დედა-შვილის გონიერებითა და ერთგულებით, მივიდა მოხუც ქალთან, მკერდზე ეამბორა და უთხრა, აი, სამაგალითო დედა შენა ყოფილხარ, რომ ასეთი ვაჟკაცი გაგიზრდიაო. ერეკლემ გელას სახსოვრად ხმალი და თოფი უბოძა.

ლეკთა მოთარეში ბრბოები ზვერავდნენ ნათელაშვილს და ცდილობდნენ, იგი ან მოეკლათ ან ტყვედ ჩაეგდოთ. ერთხელ მძინარეს დაეცნენ თავს, მაგრამ გელამ თვითონ ისინი დააზარალა, მეორედ, გელა ჩასაფრებულებმა დაჭრეს.

გელა ნათელაშვილზე ხალხმა ლექსების მთელი ციკლი შექმნა. შაირის მთქმელმა მესტვირეებმა სანაქებო გმირის ამბები მთელ საქართველოს მოჰფინეს. ერთ-ერთი ასეთი მესტვირული ლექსი XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩაწერეს და გამოქვეყნდა კიდეც 1878 წელს გაზეთ „დროების" 169-ე ნომერში. ამ ლექსის მთქმელი ვინმე ბერუა თვითონ ყოფილა გელას თანამებრძოლი და მისი გმირობის საკუთარი თვალით მნახველი. აი, ამ ლექსის ნაწყვეტიც:

ახლა ქება ჩამოვთვალოთ
ქართველი გმირებისაო;
არაგვზე მტერი აშალეს
არაგვის ფშნების პირსაო.
ღვთის მეტმა არავინ იცის
საით უზამენ პირსაო;
გელამან გზასა გახედა,
მტერი თავს დაგვესხმისაო,
თავის მოძმეებს არიგებს,
როგორც რომ მამა შვილსაო.
მოძმემა იმას შეჰფიცა
ფიცი მაღალი ღვთისაო...

სად და როდის დაიღუპა გელა ნათელაშვილი, ამაზე ხალხური ზეპირსიტყვიერება არაფერს ამბობს.

ვახტანგ სიდამონიძე.

მხატვარი ზურაბ კაპანაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

# ორი იროდიონი

(ნამდვილი ამბავი)

სოფელი ბოდბისხევი ცივგომბორის კალთებზეა შეფენილი. იგი განსაკუთრებით შემოდგომაზე არის ლამაზი, როცა ვენახებში ყურძენი მწიფდება, ჩიტები ჟივილხივილით ეხვევიან მზით გამთბარ-ჩაშაქრებულ ლეღვს, ბაღებში ვაშლის, ქლიავის, ატმისა და ბროწეულის ხეები ნაყოფის სიმძიმით იზნიქება.

ამ სოფელში დაიბადა მწერალი იროდიონ ევდოშვილი.

ამას წინათ მის სახლ-მუზეუმს ვეწვიეთ.

ეზოში დიდი ფაციფუცი იყო. მეორე დღისთვის თბილისიდან საპატიო სტუმრებს ელოდებოდნენ.

ერთ ჭაღარა დურგალს უზარმაზარი ლეღვის ქვეშ სახელდახელოდ დაზგა გაემართა, ზედ პატარა, მწვანედ შეღებილი სკივრი დაედგა და ანჯამებს ჩაჭკირკიტებდა.

თეთრწვერა მოხუცი ჩვენი საყვარელი მწერლის თანამედროვე გამოდგა. თურმე მასაც იროდიონი რქმევია. აი, რა გვიამბო იროდიონმა.

— ერთხელ, პატარა ბიჭობაში, ჩემს სეხნიას ავუტყდი: იროდი, ბიჭო, ერთ ადგილას ტკბილი ბროწეულები ვიცი, წამოდი, პირი გავისველოთ-მეთქი.

მაშინაც ეს დრო იყო, შემოდგომა.

წავედით, ტუხაანთ უბანი ჩავათავეთ და ბროწეულების ხეები ვაჩვენე.

ღობეზე პირველი გადავძვერი, არც იროდიონს უხანებია, ჩიტივით შემოფრინდა ღობეზე, მაგრამ ის ოხერი, მარგილი დამპალი ყოფილიყო, გადატყდა და ჩემი მეგობარი რიყით მოფენილ გზაზე უკან გადავარდა. მეგონა, ისევ შემოხტებოდა ღობეზე, ის კი არა ჩანდა. გადავიხედე. იროდიონი მიწაზე იჯდა და მუხლს იზელდა.

ბროწეულები ჩემს თავს ზემოთ, სულ ახლოს ქანაობდა, მარტო ხელის შეწოდება უნდოდა, მაგრამ ერთიც არ მომიწყვეტია. ღობეზე გადავხტი და იროდიონთან გავჩნდი.

— ძალიან იტკინე?

— ძალიან!

— ადე, შინ წავიდეთ, გიშველი.

მხარში შევუდექი და შინისკენ წამოვედით.

— რა კარგია! — თქვა იროდიონმა და რატომღაც გაიღიმა.

— რაო? — ვერ გავიგე რა იყო კარგი და რატომ ეღიმებოდა ჩემს სეხნიას.

— კარგია-მეთქი, ღობიდან რომ გადმოვვარდი!

— რა არის კარგი, მუხლი იტკინე და...

— სამაგიეროდ, ხომ არ გვიქურდნია! სწორე გითხრა, არ მინდოდა ბროწეულები მოგვეპარა. მოდი, ასეთ რამეს ნურასოდეს გავიფიქრებთ, კარგი?

აბა რას ვეტყოდი! მრცხვენოდა, რომ ჩემი მიზეზით ამხანაგმა მუხლი დაიზიანა და სოფელშიაც უკეთური საქციელით კინაღამ სახელი გავიტეხეთ.

მოხუცმა სკივრს ანჯამები გაუმაგრა, სახურავი მჭიდროდ დაახურა და მსხვილი, დაკოჟრებული თითები ისე გადაუსვა. თითქოს ეფერებოდა, მერე ჩუმად ამოიხვნეშა და თქვა:

— იმისეული სკივრია. მინახავს, აქ ჩაკეტავდა ხოლმე თავის ნაწერებს.



ფეხის ხმა სულ ახლოს მოისმა. ბიჭმა ბუჩქებიდან თავი ამოყო, მიიხედ-მოიხედა და ისევ ჩაიმალა. თავს ზემოთ ზღმარტლის კენწეროები აქანავდა.

მდევრები შედგნენ, ყური მიუგდეს.

— საით წავიდა, ვერ დაინახე?

— აქეთ გამოიქცა!

ორმა შაშხანამომარჯვებულმა ტყეს უფრო გულდასმით დაუწყო ჩხრეკა.

ბიჭს ყველაფერი ესმოდა. დაფეთებული ელოდა, როდის გასცილდებოდნენ მდევრები, მაგრამ ისინი კვლავ იქვე ტრიალებდნენ და მისკენ მძიმედ მოიწევდნენ.

ბიჭმა უბეში ხელი მოიფათურა.

მდევრები ახლა თხილის ბუჩქში დაძვრებოდნენ.

# ტყვეში



ბიჭი უკან გაცოცდა, გამხმარ ტოტს გადაალაჯა და...

„ჭახ“ — ტოტი გატყდა.

მდევრები ზღმარტლის ბუჩქს ეცნენ. ბიჭი ისარივით გავარდა ბუჩქებში.

— შესდექ, თორემ გესვრით! — ერთხმად შესძახეს მდევრებმა.

ბიჭი კი გარბოდა.

წინ ხრამი გადაეღობა. ხრამში წყარო მოხტის და მოიმღერის. ბიჭს სწყურია, ეკლებისაგან დასისხლიანებული ხელ-პირის დაბანაც არ იქნება ცუდი. შედგა, სმენად იქცა.

მდევარი ალბათ სხვა მხარეს წავიდა. ტყეში სიჩუმეა და მარტო წყარო მღერის.

ბიჭი ხრამში ჩაცურდა, წყაროსთან ჩაიმუხლა, გამშრალი ტუჩებით ანკარა წყალს დაეწაფა.

— ხელები მაღლა! — დასჭექა ვიღაცამ.

„წყალი მაინც დამელია!“ — გაიფიქრა ბიჭმა და უხალისოდ წამოდგა. შაშხანის ლულა მაღლიდან ცივად დასჩერებოდა.

ტყე ახმაურდა. სხვებმაც მოირბინეს. ბიჭმა ბრაზით კბილები გააკრაჭუნა, მოლიკლიკე წყაროს სინანულით გადახედა.

— ჩავარდი?! გაჩხრიკეთ! — ბრძანა მეთაურმა.

ბიჭს თვალისდახამხამებში უმალ ეცნენ. ჯიბეში „საიდუმლო“ პაკეტი უპოვნეს, უბიდან კი ვაშლი ამოაცალეს...

— აბა, ახლა პაკეტი გავხსნათ და წავიკითხოთ, ალბათ დიდი საიდუმლოა! — თქვა მეთაურმა.

„ჩემო საყვარელო ნიკო, მალე მესტუმრე, შენთვის ბევრი ჩურჩხელა მაქვს შენახული... გწერს შენი ბებია“.

აქა-იქ ჩუმად ჩაიფრუტუნეს.

— რა ვუყოთ ამ ყუმბარას? — მეთაურმა ვაშლი ხელში შეათამაშა.

— გავანადგუროთ!

ბიჭებმა ვაშლი გაიყვეს.

— აბა. ახლა ვინ იქნება წითელრაზმელი? გავითვალოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გველის თვალები

იაპონური ზღაპარი

ოდესღაც ცხოვრობდა ერთი ტყისმჭრელი, სახელად ნიხატი ერქვა. ერთხელ ამ ნიხატმა გორაკი ჩამოიარა და ჭალაზე გავიდა, უეცრად ხეზე შემოხვეული რაღაც შავი დაინახა, რომელიც ცოცხალ არსებასავით ირხეოდა.

მხდალი არ იყო ნიხატი, მაგრამ მაინც შიშმა შეიპყრო. გაჩერდა. შორიდან დაუწყო ყურება და რა დაინახა: ხეზე ქალი იყო თოკით მიბმული.

ფრთხილად მიუახლოვდა ტყისმჭრელი. ძალიან შეეშინდა. ქალი თოკით კი არა, თავისი გრძელი ნაწნავებით იყო მიბმული, თვალები დახუჭული ჰქონდა, ღონემიხდილი იყო.

შეეცოდა ნიხატს ქალი, შიში დასძლია და შეხსნა. ქალი ბალახზე დაეცა, შვებით ამოისუნთქა და თვალი გახილა. სულ ახალგაზრდა იყო, ლამაზი.

— რა დაგემართა? ვინ მიგაბა ხეზე? — შეეკითხა ნიხატი.

ქალს ცრემლის ნიაღვარი წასკდა. რამდენს არ ეკითხებოდა ტყისმჭრელი, მაგრამ ქალი მიწაზე პირქვე იწვა და არაფერს უპასუხებდა, ტიროდა. დიდხანს იდგა ნიხატი ქალის შორიახლოს, ბოლოს პასუხი რომ ვერ მიიღო, წასვლა დააპირა. ქალი უცებ წამოდგა და დაუძახა:

— არ წახვიდე, მოიცა!

ნიხატი მობრუნდა. ქალმა სთხოვა:

— ნუ დამტოვებ ტყეში მარტო. თუ შეიძლება შენთან წამოვალ.

უკვირდა ნიხატს, ნეტავ საიდან გამოჩნდა ეს ქალიო, მაგრამ აბა როგორ დასტოვებდა გასაჭირში. ნიხატმა უცნობი ქალი თავის ქოხში შეიკედლა.

გავიდა ერთ კვირაზე მეტი, მაგრამ ქალს თავის ვინაობაზე კრინტი არ დაუძრავს. ნიხატიც არაფერს ეკითხებოდა. მიხვდა, ქალს რაღაც საიდუმლოება ჰქონდა.

ერთხელ ტყისმჭრელმა გაბედა და ჰკითხა:

— ცოლად არ გამომყვები? მთელ სიცოცხლეს შენზე ვიზრუნებ.

— დიდი მადლობა, ჩემი ასეთი დაფასებისათვის! — უპასუხა ქალმა. — მე თანახმა ვარ შენი ცოლობისა, მაგრამ იმ პირობით, თუ წარსულზე არასოდეს არაფერს შემეკითხები.

— რაც იყო, იყო! რა ჩემი საქმეა! არასოდეს არაფერს არ შეგეკითხები, — შეჰპირდა ნიხატი.

იქორწინეს და ცხოვრობდნენ ბედნიერად. მალე შვილიც უნდა ჰყოლოდათ. მშობიარობის დრომ მოაწია, ქალმა ქმარს სთხოვა:

— სახლს გარშემო ღობე შემოარტყი და, სანამ მე თვითონ არ გამოვალ შენთან ბავშვით ხელში, შენ ნუ შემოხვალ.

ნიხატმა სახლს მაღალი ღობე შემოარტყა და ცოლის სურვილისამებრ სახლიდან წავიდა. გავიდა ორი-სამი დღე. ნიხატი ღელავდა, ნეტავ ჩემს ცოლს ხომ არაფერი დაემართაო, ხომ მშვიდობით მოილოგინაო!

ბოლოს ვეღარ მოითმინა და ღობეში შეიჭყიტა... გული კინაღამ შეუღონდა, მუხლი მოეკვეთა. კარებთან უშველებელი გველი დაინახა, რომელიც ახლადბადებულ ბავშვს შემოხვეოდა.

ნიხატმა ძალა მოიკრიბა და უჩუმრად გასცილდა იქაურობას. მიდიოდა და ნანობდა:

ქალი კი არა, თურმე გველი ყოფილა! მაგრამ რაკი ცოლად შევირთე, ალბათ ასეთი იყო ჩემი ბედი. ნეტავი არ შემეხედა, პირობა არ უნდა გამეტეხა...

შვიდი დღის შემდეგ ცოლი ლამაზი ვაჟიშვილით ხელში სახლიდან გამოვიდა და ქმარს ტირილით უსაყვედურა:

— როგორ გთხოვე არ მითვალთვალო-მეთქი, რატომ არ დამიჯერე! აქამდე სიმართლე არ მითქვამს შენთვის, მაგრამ ალბათ ახლა ყველაფერი უნდა ვაღიარო. განრისხდა ჩემზე მთის ღმერთი, დამწყევლა და გველად გადამაქცია. თუ ერთგული მეგობარი შემხვდებოდა, რომელიც შემიყვარებდა და თავის პირობას არ უღალატებდა, მაშინ სამუდამოდ ადამიანად დავრჩებოდი, მაგრამ რაკი



შენ სიტყვის პატრონი არ გამოდექი, ახლა სამუდამოდ გველად უნდა ვიქცე, მშვიდობით! მე მთის ტბის ფსკერზე უნდა დავბრუნდე. შვილი შენ უნდა გაზარდო, გაუფრთხილდი.

ნიხატის თვალწინ ქალი თანდათან გველად გადაიქცა. ფეხების ნაცვლად ფარფლებიანი კუდი დაეხვა.

ნიხატმა ბავშვი გამოართვა და უთხრა:

— მარტო მტოვებ? როგორ უნდა გავზარდო ჩვენი შვილი, რით უნდა ვასაზრდოო?

— აი, ეს აჭამე, ეს შეუცვლის დედის რძეს.

ქალმა მარცხენა თვალის გუგიდან კაკალი ამოიღო, ნიხატის მისცა და გაქრა. მის ადგილზე გველი იწვა. გველმა დამწუხრებულ ნიხატის შეხედა, თითქოს დაემშვიდობაო, და ნელა გასრიალდა მთებისაკენ.

ტყისმჭრელმა თავის პატარა ბიჭს ბოტარო დაარქვა და დაიწყო მისი აღზრდა. როგორც კი ბავშვს მოშივდებოდა, მაშინვე ძუძუს მაგივრად პირში დედისეულ თვალს ჩაუდებდა ხოლმე. ძალიან დიდი და ძლიერი დედობრივი სიყვარული იყო თვალში ჩაქსოვილი. ბავშვი მოწუწნიდა თუ არა თვალს, მაშინვე წყნარდებოდა და იღიმებოდა. მაგრამ თვალი თანდათან დნებოდა და ბოლოს სრულიად დაილია.

ბოტაროს ვეღარაფრით აჩერებდა მამა. რას არ აძლევდა, მაგრამ არაფერს პირში არ იღებდა. გატანჯულმა ნიხატმა ბავშვი ზურგზე მიიბა და მთაში ტბის საძებნელად წავიდა. დიდხანს იხეტიალა. უცებ დაინახა, რომ მის თვალწინ, ბნელ ხევში, წყალი ლივლივებდა. მივიდა ნიხატი ნაპირთან და დაიძახა:

— სად არის აქ პატარა ბოტაროს დედილო? გამოჩნდი, გამოგვეხმაურე! აი, შვილი მოგიყვანე!

წყალი აიმღვრა და ტბის ძირიდან ცალთვალა ვეებერთელა გველი ამოცურდა. ნიხატმა უთხრა:

— ჩვენი შვილი დღე და ღამე ტირის, შიან, შენი თვალი სულ დადნა. მეშინია შიმშილით არ მოგვიკვდეს. მიეცი მეორე თვალის კაკალიც.

გველმა ნაღვლიანად უპასუხა:

— კარგი, მივცემ ჩემს მეორე თვალსაც, ოღონდ ერთი თხოვნა უნდა შემისრულო. რაკი ორთავ თვალით დავბრმავდები, ვეღარ გავარჩევ დღესა და ღამეს. ამიტომ გთხოვ, ყოველ დილა-საღამოს, ამ ტბასთან ზარი დარეკე ხოლმე...

გველმა გამოიღო გუგიდან მეორე თვალის კაკალიც და მტირალა ბოტაროს მისცა.

— იზრუნე ჩვენს შვილზე, ჩემო ქმარო! ძალიან მიჭირს უთქვენოდ ცხოვრება, მაგრამ მთის ღმერთის რისხვა მადგია თავს, ასეთია ჩემი მწარე ხვედრი! მე შორიდან გავუწევ მფარველობას ჩვენს შვილს, — გველს თვალის გუგებიდან სისხლიანი ცრემლები წამოუვიდა და ისევ ტბის ფსკერზე ჩაეშვა.

როგორც კი დედის თვალი მოწუწნა, ბავშვი მაშინვე დაწყნარდა...

ნიხატმა მეზობელ ტაძრიდან დიდი ზარი ითხოვა, დაჰკიდა ტბასთან და ყოველ დილა-საღამოს რეკავდა.

ბრმა გველმა იცოდა როდის თენდებოდა და როდის ღამდებოდა.

მეორე დედისეული თვალიც დადნა, მაგრამ ამასობაში ბოტარო უკვე წამოიზარდა. ათი წელი შეუსრულდა. ჯანმრთელი და ღონიერი ბიჭი დადგა. თამაშობდა სოფლის ბიჭებთან და ფიქრობდა: „ყველას ჰყავს მშობელი დედა, ნეტავი მე რატომ არა მყავსო?“



მამას ჰკითხა. ნიხატმა შვილს სიმართლე უამბო.

ბიჭმა იფიქრა, დაე დედაჩემი საშინელი გველი იყოს, მე მაინც მინდა მისი ნახვაო.

მეორე დღეს ბოტარო სახლიდან გაიპარა და მთაში ტბისკენ გაემართა.

დადგა ნაპირთან და ხმამაღლა დაიძახა:

— დედიკო, დედიკო! მე ბოტარო ვარ, შენთან მოვედი!

აიმღვრა წყალი და ტბის ძირიდან უშველებელი ბრმა გველი ამოცურდა.

შეეშინდა ბიჭს და გაქცევა დააპირა. მაგრამ გაახსენდა, დედამ ჩემი სიყვარულით თვალებიც არ დაიშურაო, მივარდა და ჩაიკრა მკერდში, თან ტირილით ეუბნებოდა:

— დედიკო, ძვირფასო დედიკო!

ბოტაროს ცრემლები დედის ბრმა თვალებს დაეცა და უცებ ქალად გადააქცია.

— ბოტარო, ჩემო ბოტარო, რაკი შენ არ შეგეშინდა, მარტო წამოხვედი ამ სიშორეზე მთაში ჩემს სანახავად და არც ჩემმა საზარელმა შეხედულებამ შეგაშინა, მთის ღმერთის წყევლამ ძალა დაკარგა და, აი, ხომ ხედავ, მე კვლავ ადამიანად გადავიქეცი.

ამ სიტყვებით დედამ ბოტარო გულში ჩაიკრა და ორივენი შინისკენ გაუდგნენ გზას.

მას შემდეგ ნიხატი, იმისი ცოლი და ბოტარო სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერად და სულ ერთად ცხოვრობდნენ.

თარგმნა ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ.

მხატვარი Დ. ᲖᲐᲠᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეზარე პეტრესკუ

მხატვარი
რევაზ ცუცქირიძე

# ფრამი

(ნაწყვეტი)

დაობლდა პატარა ბელი. დედა ესკიმოსებმა მოუკლეს, ეს კი რამდენიმე შეკვრა თამბაქოში გაუცვალეს მოხუც მეზღვაურს, ლარსს. ლარსის ალერსიანმა მოპყრობამ მალე დაავიწყა პატარას ობლობის სიმწარე. გემზე მას ყველა კარგად ექცეოდა. ადვილად შეეჩვია ადამიანებს. ლარსმა ბელს ფრამი დაარქვა, იმ ცნობილი გემი „ფრამის" სამახსოვროდ, რომელთანაც მისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები იყო დაკავშირებული. ამ სახელით გაყიდეს შემდეგ, ამ სახელით მოხვდა სტრუცკის ცნობილ ცირკში და ფრამი — თეთრი დათვი, მალე იქცა ცირკის სიამაყედ.

ფრამი მწვრთნელს არ საჭიროებდა. პროგრამა თვითონ მიჰყავდა. პოლარულ ყინულებში დაბადებული ეს თეთრი, ვეება დათვი ადამიანივით საზრიანი იყო. ადამიანებს უყვარდათ იგი, განსაკუთრებით კი ბავშვებს. ფრამსაც უყვარდა ბავშვები. თვალს თუ მოჰკრავდა, რომელიმე გოგონა ან ბიჭუნა კამფეტს შეექცეოდა, თათს გაუწოდებდა, — მეც მიწილადეო. თუ რამდენიმე კამფეტი ერგებოდა. ერთს თვითონ შეჭამდა, დანარჩენს კი ისევ ბავშვებს უნაწილებდა. კამფეტისათვის ქანდარიდან ჩამოსულ ბავშვს, უკან აღარ უშვებდა, გადაიხრებოდა ბარიერს გადაღმა, თათით სკამს აიტაცებდა, ლოჟაში დადგამდა და ანიშნებდა, — დაჯექიო. წარმოდგენა, რომელშიც ფრამი არ მონაწილეობდა, უღიმღამო იყო.

და აი, ერთ დღეს ფრამმა მოიწყინა. თავჩაღუნული და დაბნეული იდგა არენაზე, როლი დაავიწყდა. ამაოდ უხმობდნენ მაყურებლები ტაშითა და „ფრამის" ძახილით. ფრამს ვერ გაეგო სად იყო, ან ამ ხალხს რა უნდოდა მისგან. ფრამის უცნაური საქციელით გაკვირვებული მაყურებელი უკმაყოფილო წავიდა ცირკიდან.

ის დღე იყო და ის. ფრამი არენაზე აღარ გამოსულა. მოწყენილი ეგდო გალიის ბნელ კუთხეში. მის სანახავად მოსულ ადამიანებს ყურადღებას არ აქცევდა. გამოუცნობ სევდას შეეპყრო თეთრი დათვი. რა სტანჯავდა? ვერავის გაეგო. დირექტორი წუხდა: ჩინებული მსახიობი ხელიდან ეცლებოდა.

ერთ დღეს ცირკში მოხუცი მონადირე მოვიდა. მას რამდენიმე წიგნი ჰქონდა დაწერილი თეთრ დათვებზე და კარგად იცნობდა მათ ბუნებას. ფრამის გალიასთან რომ მიიყვანეს. მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ფრამს სამშობლოს სევდა სტანჯავდა. იმიერპოლარეთის უკიდეგანო ყინულოვანი უდაბნო უხმობდა ფრამს თავისი ზღაპრული სილამაზითა და ჯადოსნური პოლარული ღამეებით! მონადირემ ფრამის სამშობლოში დაბრუნება ურჩია დირექტორს. სხვა გზა არ იყო, დირექტორი დათანხმდა. ფრამი ორ მონადირეს ჩააბარეს და გზას გაუყენეს.

და აი, ფრამი სამშობლოშია. მძვინვარე ქარბუქით შეხვდა ნანატრი ყინულოვანი უდაბნო ცივილიზებულ, კომფორტს მიჩვეულ თეთრ დათვს. ფრამი სიცივემ აიტანა. აქ არ ჰქონდა თბილი ბინა და არც არავინ იზრუნებდა მასზე. თვითონ უნდა აეშენებინა ბუნაგი. ასეც მოიქცა. ყინულის ლოდებისაგან შესანიშნავი ბინა აიგო. მაგრამ შიმშილი რომ აწუხებდა? ნადირობა არ იცოდა. ერთხელ ნაპირზე ამოსულ სელაპებს წააწყდა. სცადა მიპარვა, მაგრამ როცა სელაპების უცოდველ, გულუბრყვილო, მრგვალ თვალებს შეხედა გაახსენდა ცირკი, გაწვრთნილი სელაპები; ისინი ფრამთან მეგობრობდნენ და ერთად გამოდიოდნენ არენაზე. გაახსენდა და წყალში ჩარეკა სელაპები, რომ ცდუნება თავიდან აეცილებინა. მაგრამ მალე იშოვნა ფრამმა უფასო სადილი.

ერთხელ ფრამი დათვს წააწყდა, რომელიც ნანადირევს შეექცეოდა. ფრამი მოულოდნელად წამოადგა თავზე, სასაცილოდ დაუკრა თავი, მერე მხედრულად მიესალმა, საფეთქელთან თათი მიიტანა, ბზრიალასავით დატრიალდა და ბრწყინვალე სალტო-მორტალე გააკეთა. ამის დამნახავ ველურ დათვს თავზარი დაეცა და მოკურცხლა. ნანადირევი, რასაკვირველია, ფრამს დარჩა და ისიც მადიანად შეექცა იოლი გზით ნაშოვნ ულუფას. ასე ექცეოდა ფრამი სხვა დათვებსაც და არხეინად ცხოვრობდა მათ კმაყოფაზე. ცირკში შეძენილმა ცოდნამ იხსნა ფრამი შიმშილისაგან.

ახლა ფრამს სიმარტოვე სტანჯავდა. მეგობარი ესაჭიროებოდა ამ ცივსა და მიუსაფარ უდაბნოში. მაგრამ როგორ, რა გზით შეეძინა მეგობარი? ველური დათვები ახლოს არ იკარებდნენ, უცხოობდნენ. დაინახავდნენ თუ არა, კბილებდაკრეჭილები საჩხუბრად მიიწევდნენ, ან კიდევ, უკანმოუხედავად გარბოდნენ. მარტო დაეხეტებოდა ფრამი ყინულოვან უდაბნოში. ბედმა მაინც გაუღიმა: შემთხვევით შეხვდა ერთ პატარა ბელს, რომლისთვისაც სასტიკ დათვს დედა მოეკლა და უმწეო პატარა დაეობლებინა. ორივეს სჭირდებოდათ ერთმანეთი: ბელს მფარველი დიდი ძია, ფრამს კი — პატარა მეგობარი. ფრამმა მკვლელ დათვზე შური იძია. თავისი ჯამბაზური ოინებით ცხარე დღე დააყარა, კბილები სულ ჩაუმტვრია. ფრამმა ჰუმანურობა გამოიჩინა: არ მოკლა, ცემა აკმარა. პატარა ბელი კი იმიერპოლარეთის კანონების მიხედვით გაუსწორდა დედის მკვლელს — ჩუმად მიეპარა და ყელი გამოღადრა.

ბედნიერი და კმაყოფილი იყო ფრამი ახლადშეძენილი მეგობრით, მაგრამ მალე მოეღო ბოლო ამ სიხარულსაც. ერთ დღეს ფრამს ეძინა და რომ გამოეღვიძა, ბელი იქ არ დაუხვდა. ძებნა დაუწყო და რას ხედავს: ბელი ყინულის ლოდს ამოფარებოდა და გულმოდგინედ იმეორებდა ფრამის ჯამბაზურ ოინებს. ფრამი რომ დაინახა, ჯერ მხედრულად მიესალმა, შემდეგ კი ვალსის ცეკვით მხიარულად მიეგება. ფრამი სწვდა ქეჩოში, მაღლა აიტაცა და ცემა დაუწყო. ბელი წკმუტუნებდა, ილაკნებოდა, პატიებას ითხოვდა, მაგრამ ვერ კი გაეგო რისთვის. ფრამი ბურტყუნებდა: „ერთი ჯამბაზიც საკმარისია იმიერპოლარეთში. ეგღა მაკლია. შენც ჩემსავით უვარგის დათვად იქცეო". ფრამმა გადაწყვიტა ბელის კეთილდღეობისათვის მიეტოვებინა იგი. ის ფრამისაგან კარგს ვერაფერს ისწავლიდა. ისიც უვარგისი დათვი— ჯამბაზი გახდებოდა. ცალკე კი, ყოჩაღი, მონადირე დათვი დადგებოდა. გადაწყვიტა და მიატოვა კიდეც. დიდხანს წკმუტუნებდა ბელი, გამწარებული დარბოდა ნაპირზე, მეც წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუყვანეო, ჩხაოდა, მაგრამ ფრამი დახტა მცურავ ყინულზე და ისე გასცურა გაშლილ ოკეანეში, რომ უკან აღარ მოუხედია. ფრამი კვლავ მარტო დარჩა. მისი ერთადერთი თანამგზავრი ახლა მხოლოდ მისივე ჩრდილი იყო. ძალიან გვიან მოვიდა ფრამი ყინულოვან უდაბნოში, ის ველურ დათვად ვეღარ ივარგებდა. აქ სულ სხვა სული ტრიალებდა. ცივად და მტრულად შეხვდა მშობლიური მხარე ადამიანებისაგან განებივრებულ თეთრ დათვს. აქ მისთვის უცხო იყო ყოველივე.

კვლავ სევდამ შეიპყრო. ისევ ადამიანებისკენ გაუწია გულმა. მცურავმა ხორგმა ერთ კუნძულს მიაყენა ფრამი. ნაპირზე ესკიმოსი ბიჭუნა ნანუკი დაინახა; ადამიანი! დაინახა და გახარებულმა გასწია მისკენ. ვალსის ცეკვით და მხედრული სალამით მიუახლოვდა. ამით მან თავისი კეთილი განწყობილება გამოხატა. ბავშვს კი გაუკვირდა. ის ხომ ვერ მიხვდებოდა, რომ ფრამი ცირკის გაწვრთნილი დათვი იყო. მას მხოლოდ ზღაპრები მოესმინა გრძნეულ დათვებზე, ასეთმა დათვებმა ლაპარაკი იციან და უბრალო ნივთებს ჯადოსნურად აქცევენ. იფიქრა, ეს სწორედ ის გრძნეული დათვია, ზღაპრებში რომ გამიგიაო. გახარებულმა გაუწოდა თავისი მშვილდ-ისარი, ჯადოსნურად მიქციეო. სამწუხაროდ, ფრამს არ შეეძლო ნანუკის სურვილის ასრულება. ნანუკი დაელაპარაკა. ვერც ამაზე შესძლო ფრამმა პასუხის გაცემა. ნანუკი დაეჭვდა, რაკი გრძნეული დათვი არ არის. ალბათ შეშლილიაო. აბა ვის გაუგონია, დათვი ასე უცნაურად იქცეოდესო. უმჯობესია მოვკლა, კარგი მონადირის სახელი მაინც მექნებაო და მშვილდ-ისარი დაუმიზნა. ფრამი ჯერ ვერ მიუხვდა განზრახვას. მაგრამ როცა ისარი მის თვალს დაუპირდაპირდა, ფრამმა აქაც ცირკში შეძენილი ცოდნა გამოიყენა და გამოსროლილი ისარი თათით ჰაერშივე დაიჭირა. ასე დაიჭირა მეორე ისარიც, რომელსაც ნანუკი მეორე თვალში უმიზნებდა. ფრამმა ნანუკს მშვილდ-ისარი წაართვა და გადაუმტვრია. თვითონ ნანუკს მაგრად სცემა და გაოგნებული დატოვა. იმიერპოლარეთში ადამიანმაც ვერ გაუგო მას. ფრამი ხშირად ადამიანზე უფრო გულთბილი იყო, ეს ვერ ეპატიებინათ მისთვის დათვებს, ეს ვერ გაეგო ზოგიერთ ადამიანს. არა, იმიერპოლარეთში არ არის მისი ადგილი. აქ ის უცხოა, სხვა სამყაროდან მოსული და მეტი გზა არ არის, ისევ ძველ სამყაროს უნდა დაუბრუნდეს. შემთხვევაც მიეცა: ერთხელ მოულოდნელად წააწყდა თოვლში ჩაფლულ ორ ადამიანს. ესენი სწორედ ის მონადირეები იყვნენ, რომლებმაც ფრამი იმიერპოლარეთში ჩამოიყვანეს. ფრამმა იცნო თავისი კეთილისმყოფელები. ისინი ქარბუქს მოეცვლა და ახლა თოვლში ჩაფლულები სიკვდილს ელოდებოდნენ. ფრამი მივიდა, თათებით გადაქექა თოვლი, ზემოდან დააწვა მონადირეებს, გაათბო და მოასულიერა. სიკვდილს გადარჩენილები თეთრ დათვს ეკვროდნენ და ცრემლმორეულები ლუღლუღებდნენ: „რა კეთილი ხარ, ფრამ...“ ფრამმა ისინი თათით მოიშორა. ის ძლიერი ნების ადამიანებთან ურთიერთობას იყო ჩვეული. ახლა ცრემლის ღვრის დრო არ იყო. მალე უნდა გაესწროთ ყინულოვანი უდაბნოდან, ვიდრე პოლარული ღამე დაიწყებოდა. ისინი გზას გაუდგნენ. ფრამი პირველი ჩახტა ნავში, რომელიც მონადირეებს ელოდებოდა. მან თვითონ გადასწყვიტა თავისი ბედი: იგი კვლავ ადამიანებსა და ცივილიზაციას უბრუნდებოდა, თუმცა სინანულით კი ტოვებდა თავის მშობლიურ, მაგრამ აწ უცხო და მტრულ ყინულოვან უდაბნოს.



თარგმნა ლამარა კანდელაკმა.



# ფუტკრის ენა

საკვების საშოვრად წასული ფუტკარი თავის სკისაკენ გამალებული მოფრინავს. მას თავისიანებთან სასიხარულო ამბავი მოაქვს: ამა და ამ ადგილს ბლომად საწუწნავი ვიპოვნეო. შინ დაბრუნებული თანამოძმეებს სასწრაფოდ ამცნობს ყოველივეს. სულ მალე,·ფუტკრის გუნდი ახალაღმოჩენილი საკვებისაკენ მიფრინავს და, რა შორსაც არ უნდა იყოს, შეუცდომლად აგნებს იმ ადგილს.

როგორ ატყობინებს მაცნე ფუტკარი დანარჩენებს, თუ სად აღმოაჩინა მან დიდძალი ნექტარი? ამის გასაგებად საგანგებო სკის გაკეთება გახდა საჭირო. აქ სკაში ფიჭები ერთიმეორეზე კი არ დაალაგეს, როგორც ეს ჩვეულებრივ სკაშია ხოლმე, არამედ — ერთმანეთის გვერდი-გვერდ. სკას მინის ფსკერი ჰქონდა. საიდანაც კარგად ჩანდა ყველაფერი, რაც სკაში ხდებოდა. თვითეულ ფუტკარს, სხვებისაგან გამოსარჩევად, სხვადასხვა ფერის საღებავით ნიშანი დაადეს.

ამ ნიშნების საშუალებით შესაძლებელი გახდა იმის გაგება, რომ ფუტკარი, რომელმაც საკვების ახალი წყარო აღმოაჩინა და მერე სკაში დაბრუნდა, ერთგვარ „ცეკვას" ასრულებს, რომლის საშუალებითაც იგი სხვებს ატყობინებს, თუ საითკენ და რა მანძილზე უნდა ეძებონ ნექტარი: ფუტკარი სწრაფად დარბის პატარა წრეზე, ჯერ ერთი მიმართულებით დარბის, შემდეგ, ოციოდეჯერ რომ შემობრუნდება, უცებ მოტრიალდება და, იმავე ცენტრის ირგვლივ, სხვა მხარეს იწყებს ტრიალს. ამ „ცეკვის" მაყურებელი ფუტკრები თვითონაც ძლიერ აღიგზნებიან, „მოცეკვავე" თანამოძმეს წინა ფეხებით მოეჭიდებიან და მის ყველა მოძრაობას იმეორებენ, შემდეგ



კი ნექტრის საძებნელად მიფრინავენ.

სკაში დაბრუნებულ ფუტკარს ყვავილთა სურნელებაც თან მოჰყვება და, როცა დანარჩენი ფუტკრები მის კვალზე მიფრინავენ, იმ ყვავილებს ეძებენ, რომელთა სურნელიც მაცნე ფუტკარს ასდის. თუ ეს სურნელი ვარდისაა, დანარჩენებიც მხოლოდ ვარდს .დაეძებენ და სხვა სურნელების ყვავილებს ყურადღებას არ აქცევენ. ბოლოს იქ, სადაც მაცნემ ნექტარი აღმოაჩინა, რამდენიმე ასეული ფუტკარი იყრის თავს.

ფუტკრები, ნექტრისა და თაფლის გარდა, ყვავილის მტვრითაც იკვებებიან. მის მოსაგროვებლად სკაში თავისებური სახის მუშა ფუტკრები ჰყავთ. როცა ბევრ ყვავილის მტვერს ნახავენ, ეს ფუტკრები სკაში ბრუნდებიან, რომ ამბავი სხვებსაც აცნობონ. ამისათვის ისინიც „ცეკვას" იწყებენ, მაგრამ უკვე სხვანაირად „ცეკვავენ", ვიდრე ნექტრის აღმომჩენნი: მთელ წრეს კი არ უვლიან, არამედ — ნახევარ წრეს, შემდეგ საწყის წერტილთან ბრუნდებიან და ახლა წრის მეორე ნახევარს შემოსწერენ. ამ „ცეკვას" რომ უყურებენ, დანარჩენი ფუტკრებიც აღიგზნებიან და საკვების საძებნელად მიეშურებიან.

ჟურნალიდან „მოლოდაია გვარდია".



### ფუტკრის შხამი და რადიოაქტიურობა

კალიფორნიელმა ბიოლოგებმა გამოარკვიეს, რომ ფუტკრის შხამი რადიოაქტიური გამოსხივებისაგან იცავს ორგანიზმს. იმ თაგვების 80 პროცენტი, რომლებსაც ჯერ მომაკვდინებელი დოზა დაასხივეს, ხოლო შემდეგ სხეულში ფუტკრის შხამი შეუშხაპუნეს, ცოცხალი გადარჩა. ისინი კი, ვის ორგანიზმშიც ფუტკრის შხამი არ იქნა შეყვანილი, ყველა დაიხოცა.

მეცნიერები ამჟამად ცდილობენ გაიგონ, ფუტკრის შხამის რომელი ნაწილია უფრო მარგებელი.

### ფეხბურთელი ძაღლები

კაიროელმა ძაღლების მწვრთნელებმა წვრთნის გეგმაში ფეხბურთიც შეიტანეს. მყეფარა „ფეხბურთელების" თამაშმა დიდძალი მაყურებელი მიიზიდა.



### რით სუნთქავს ამერიკა

ამერიკის შეერთებულ შტატებში თვიეული ავტომობილი წელიწადში 800 კგ. ნახშირჟანგით, 115 კგ ნახშირწყალბადით, 88 კგ აზოტის ჟანგით წამლავს ჰაერს. ამ ქვეყნის ყველა ავტომობილი (ერთად აღებული) კი, საწვავის წვის შედეგად, 165 მილიონ ტონა მომწამვლელ ნივთიერებებს ჰფანტავს ჰაერში. ფიქრობენ, რომ ეს რიცხვი 269 მილიონ ტონამდე გაიზრდება.

### ხარი და წითელი ფერი

რატომღაც ყველას ჰგონია, თითქოს ხარი წითელ ფერს ვერ იტანს და წითელი ქსოვილის ნაჭერი საშინლად აბრაზებს. მეცნიერებმა გადაწყვიტეს შეემოწმებინათ, ეს მართლაც ასე არის თუ არა. მრავალი ცდის შემდეგ ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ხარები საერთოდ არ არჩევენ ფერებს, მათ წითელი ფერი კი არ აღიზიანებთ, არამედ მათთვის უცნობი საგნის აქეთ-იქით მოძრაობა.

### მეტისმეტი ჯაფისაგან...

ბრაზილიელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ბრაზილიაში ფუტკრები მეტისმეტი ჯაფისაგან იხოცებიან. ამ ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ გამოიყენა კრაზანამ ჩიტის ბუდე



სულ ახლახან, მარნეულის რაიონის სოფელ ემირის მიდამოებში, მდინარე ხრამის ნაპირზე, ტირიფის ტოტზე მეტად საინტერესო ჩიტის — რემეზის ბუდე შეამჩნიეს.

რემეზი ბეღურაზე პატარა ჩიტია, მდინარის სანაპიროებს ეტანება, ჩალიან ადგილებში ბუდობს, ბარტყებს ჭაობის მწერებით კვებავს, რითაც ხელს უწყობს მათს განადგურებას.

რემეზი ზამთარსაც საქართველოში ატარებს. ბარტყებს ზაფხულის მიწურულში დააფრენს ხოლმე. ამ დროისათვის ბუნებაში ჭიაღუა მცირდება, ამიტომ საკვებს იცვლის და ახლა მცენარეულის თესლით იკვებება. ეს ჩიტი საოცარი ოსტატობით აგებს ბუდეს. ბუდე გიდელს მოგვაგონებს, მხოლოდ ერთი მხრიდან აქვს ხვრელი. ძირში ცხოველთა ბალანს აფენს. კედლებს კი ალვისხის, ტირიფის ან სხვა მცენარეთა ბუმბულოვანი თესლით აშენებს. აი, ასეთ ბუდეში იპოვნეს ჩიტის კვერცხისოდენა ხუთი გორგალი. ეს გორგლები სილანარევი თიხითა და კირიანი მიწით იყო შეზელილი. გორგლები მინის ქილაში ბამბაზე მოათავსეს. ოთხი თვის მერე, მაისის დასაწყისში, ოთხმა გორგალმა პირი გაიხსნა და ხასხასა ფერის ოთხი კრაზანა გამოფრინდა. ალბათ მეხუთე გორგალში ჩანასახი ჩაკვდა.

როგორ მოხვდა კრაზანას კვერცხები რემეზის ბუდეში?

ზოგიერთი ჯიშის კრაზანა თიხისა და კირიანი მიწისაგან აგებს ბუდეს. ეს კრაზანები ყბებითა და ფეხებით დიდ შრომას ეწევიან, ნიადაგს ნერწყვით ჟღენთავენ, რომ უფრო მეტი გამძლეობა ჰქონდეს. მათი ბუდე გორგალივით მრგვალია, ცალ მხარეს ხვრელს უტოვებენ. მწერი მთელი დღე ველ-მინდვრებში დაფრინავს, ჩიჩაყვს ყვავილის ნექტრით ივსებს, ბანჯგვლიან ფეხებზე კი ყვავილის მტვერს იკრავს, მთელი დღის ნაჯაფარი უბრუნდება თავის ბუდეს, შიგ შეძვრება და ნექტარს ჩაანთხევს, ფეხებზე აგროვებულ მცენარის მტვერსაც ჩაიბერტყავს და წინა ფეხებით ერთმანეთში აზელავს. ეს ცომი მისი მომავალი ნაშიერის საკვებია. ამ ცომზე ერთ კვერცხს დასდებს და, როგორც უკვე ვთქვით, თიხოვანი და კიროვანი მიწის ნარევით შემოლესავს irგვლივ. ხვრელს ისე ოსტატურად ამოავსებს, რომ ერთი შეხედვით ვერც კი შეამჩნევს ადამიანი.

ხუთ ან ათ ასეთ ბუდეს ამზადებს კრაზანა კლდეზე ან შენობის სახურავქვეშ. თუ ბუდე ქვაზე ააგო, მაშინ ზემოდან, სისველისა და ქარისაგან დასაცავად, თიხის მთლიან სახურავს უკეთებს.

რემეზის მიტოვებული ბუდე კრაზანამ კარგად გამოიყენა, შრომა დაზოგა, ბუდეს მთლიანი გადახურვა აღარ დასჭირდა, რაც მთავარია, თავისი კვერცხების „ბინის" ასაგებად, რემეზის მოზიდულ ჭიაღუას მოყოლილი ჭაობის მიწა გამოიყენა.

ე. ანთაძე.

---

ყანაში მცენარეულობა ხომ მთელი წლის განმავლობაში ჰყვავის! თუ ევროპული ფუტკრები წელიწადში სამ-ოთხ თვეს მუშაობენ, მათი ბრაზილიელი თვისტომნი იძულებული არიან მთელი თორმეტი თვე იმუშაონ.

### პირველი გლობუსი

ტაშკენტელი მეცნიერის პ. ბულგაკოვის აზრით, მსოფლიოში პირველი გლობუსი ათას წელზე მეტი ხნის წინათ გამოჩნდა. იგი დიდმა ხვარაზმელმა აბურახან ბირუნიმ შექმნა.

პირველი გლობუსი საკმაოდ დიდი ზომისა იყო — მისი დიამეტრი ხუთ მეტრს აღწევდა. გლობუსზე ისეთი სიზუსტით იყო აღნიშნული დასახლებული პუნქტები, რომ შეიძლებოდა მათი გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრა.

ეს გიგანტური გლობუსი შინაფეოდალური ომის დროს განადგურდა, ხოლო მისი შემქმნელი იძულებული გახდა თავის სამშობლო ხვარაზმიდან გაქცეულიყო.



### თოთხმეტი საუკუნის პური

სტოკჰოლმის ისტორიულ მუზეუმში გამოჩნდა ახალი ექსპონატი — ქერის პური. შვედი მეცნიერების დასკვნით, თიხის ჰურჭელში ნაპოვნი ეს პური 1400 წლის წინათ არის გამოცხობილი.

### წყალში მეტი ყოფილა...

ოკეანეოლოგებმა გამოიანგარიშეს, რომ ჩვენი პლანეტის ზღვებსა და ოკეანეებში მობინადრე ცოცხალი ორგანიზმების — თევზების, ვეშაპების, კიბორჩხალების და სხვათა საერთო წონა 60 მილიარდ ტონას შეადგენს, იმ დროს, როცა ხმელეთზე არსებული ბიოლოგიური მასა მხოლოდ 10 მილიარდ ტონას იწონის.



### თეთრი სპილო

ამას წინათ ტაილანდში თეთრი სპილო დაიჭირეს. ადგილობრივ მკვიდრთა რწმენით, ცოცხალი თეთრი სპილო ბედნიერების სიმბოლოა, თუ ვინმე ამ სპილოს მოჰკლავს, მთელ ქვეყანას დიდი უბედურება დაატყდება.

თეთრი სპილო ძალზე იშვიათად გვხვდება. საკმარისია ითქვას, რომ მსოფლიოს ვერცერთ ზოოპარკში ვერ ნახავთ მას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა












მურმან ლებანიძე

„ოთხი დრო“

ტურფა გაზაფხული მოვა,
ტურფა გაზაფხული
მოდის!
ამას მეუბნება თოვა,
და სითეთრე ტყემლის
ტოტის,

ამას მეუბნება გროვა
ენძელის და კორჩიოტის..
ტურფა გაზაფხული მოვა,
ტურფა გაზაფხული
მოდის.

ამ ლამაზი ლექსით იწყება თქვენი საყვარელი პოეტის — მურმან ლებანიძის ეს წიგნი.

კეკლუც გაზაფხულს ხალისიანი ზ ა ფ ხ უ ლ ი სცვლის, ზაფხულს — ბარაქიანი შემოდგომა და შემოდგომას — დინჯი ზამთარი.

ლამაზია წელიწადის ეს ოთხივე დრო, მაგრამ აბა რა ფასი ექნებოდა მის სილამაზეს, თუ აყვავებულ ველ-მ ი ნ დ ვ რ ებს ყმაწვილები არ აახმიანებენ, თუ მდინარის ნაპირებს და ჭალებს მათი სიმღერა არ მოეფინება და „თეთრწვერა“ ზამთარში კი ეს გოგო-ბიჭები „ტკბილად არ დაბერდებიან“.

პოეტი მურმან ლებანიძე ამ პატარა წიგნში სიყვარულით მოგვითხრობს თქვენს სწავლასა და შრომა-გამრჯეობაზე.

ეზოპეს

იგავ-არაკები

ეზოპე იგავ-არაკების ჟანრის ფუძემდებელია. იგი უძველეს ხანაში — ჩვენს ერამდე მეექვსე საუკუნეში ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწარმოებები იმდენად უკვდავია, რომ საუკუნეებს გაუძლო და ჩვენამდე მოაღწია. ეზოპეს იგავების ფაბულა ძალზე პოპულარულია, სხვადასხვა ეპოქის ყველა მეიგავემ ისინი თავისებურად გადაამუშავა და შთამომავლობას ისე დაუტოვა. ალბათ წაგიკითხავთ იგავ-არაკი ირემზე, ლამაზმა რქებმა რომ დაღუპა, მელაზე, მწიფე ყურძენს რომ ვერ შესწვდა და თავი იმითინუგეშა, ჯერ მკვახეაო. მგელზე, — კრავის შეჭმა რომ უნდოდა და შარი მოსდო, და ბევრი სხვა იგავ-არაკები.

ეზოპეს იგავები თარგმნილია მსოფლიოს ბევრ ენაზე. წაიკითხეთ და ჩაუკვირდით. ნათქვამია — იგავი ჭკუის დამრიგებელიაო.

„ზღაპრების გუდა“

ქართველმა მკითხველებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — გამოვიდა ლამაზად გაფორმებული წიგნი „ზღაპრების გუდა“. ამ გამოცემაში მოძმე რესპუბლიკების ხალხთა თითო ზღაპარი ცალკე წიგნად არის დაბეჭდილი და ლამაზ კოლოფშია ჩადებული. ყოველი ზღაპარი შთაგვაგონებს სიკეთის ძალას, ადამიანის სიყვარულს და უსამართლობისადმი შეურიგებლობას. წიგნები გააფორმეს ჩვენმა ცნობილმა მხატვრებმა შალვა ცხადაძემ, კოკა იგნატოვმა, თენგიზ მირზაშვილმა, ზურაბ ნიჟარაძემ, დიმიტრი ზარაფიშვილმა და ვიქტორ ჭუმბურიძემ.

ვ. მიხაილოვი

„შენი თაობა“

„ნაკადულმა“ გამოსცა ვლადიმერ მიხაილოვის წიგნი „შენი თაობა“. ავტორი ჩვენი ქვეყნის პიონერებს მრავალი გმირის ამბავს მოუთხრობს. ეს გ მ ი რ ე ბ ი სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთი საერთო აზრი, საერთო მიზანი — სამშობლოსადმი, ხალხისადმი, პარტიისადმი სიყვარული ამოქმედებდათ.

წიგნში გაეცნობით სად და როდის შეიქმნა პირველი პიონერული რაზმი, ვინ იყვნენ პირველი პიონერები, როგორ ეხმარებოდნენ ისინი ხალხს და როგორ იღწვიან დღეს თქვენი თანატოლები...

ეს წიგნი დიდ დახმარებას გაგიწევთ პიონერულ საქმიანობაში.

„ნორჩი თაობის
მოამაგენი“

სერია — „ნორჩი თაობის მოამაგენი“ — რამდენიმე წლის წინათ დაარსდა „ნაკადულში“. ალბათ უკვე წაიკითხეთ ამ სერიით გამოსული წიგნები: „კეთილი მკურნალი“, „მარიამ დემურია“, „ნიკო ლომოური“ და სხვ. ძმები ვაჟა, ბაჩანა და თედო რაზიკაშვილები მხატვრული სიტყვითა და საქმიანობით თავდადებით ემსახურებოდნენ ნორჩი თაობის აღზრდას. „რაზიკაანთ ერთი ძმა“ — თედოს ცხოვრებასა და შემოქმედებას გაგაცნობთ.

„ფ რ ე ს კ ა“

„ფრესკა“ დასურათებული ალმანახია, იგი მხატვრებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა და გამომცემლობის თანამშრომ-

ლებმა თქვენთვის შეადგინეს. ამ ალმანახით გაეცნობით მსოფლიო და საბჭოთა ხელოვნების საუკეთესო ნ ი მ უ შ ე ბ ს, დიდ ხელოვანთა ცხოვრებასა და შემოქმედებას, ხელოვნების ახალ ამბებს, შეისწავლით ხელოვნებათმცოდნეობის ზოგიერთი ტერმინის მნიშვნელობას.

კონსტანტინე ფალავა

„მირზა ფათალი-ახუნდოვი“.

სერიას — „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“ — ერთი ახალი წიგნი შეემატა. ეს არის დიდი აზერბაიჯანელი მწერლის მირზა ფათალი ახუნდოვის ცხოვრების ამსახველი ნარკვევი. ნარკვევი თქვენთვის დაწერა აღმოსავლეთის ლიტერატურის ცნობილმა მკვლევარმა კონსტანტინე ფალავამ. ავტორი დაწვრილებით გესაუბრებათ მირზა ფათალი ახუნდოვის ბავშვობისა და ყრმობის ხანაზე, იმაზე, თუ როგორ წერდა დიდი მწერალი, რაზე წერდა და რა იყო მისი მიზანი.

აკაკი ურუშაძე

„სიმონ ყაუხჩიშვილი“

სიმონ ყაუხჩიშვილი გამოჩენილი ქართველი მეცნიერია. ამ წიგნის ავტორი — პროფესორი აკაკი ურუშაძე — მისი ყოფილი მოწაფეა; მან ეს წიგნი თქვენთვის დაწერა. ავტორი გაცნობთ ამ თვალსაჩინო მეცნიერის ბავშვობასა და ყრმობას, იმ დიდ ღვაწლს, რომელიც მას საქართველოში კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტიოლოგიის განვითარებაში მიუძღვის.

ლ. გოგოხია.

სულ პატარა კოლექციაც კი საინტერესო და წარმტაცი საგნების ვეება სამყაროს მოიცავს. ამ სამყაროს შეცნობაში შენ დაგეხმარებიან კოლექციონერები — უფროსებიცა და შენი თანატოლებიც, აგრეთვე, წიგნები და მუზეუმები, საკუთარი ძიებები.




# დამწყებ კოლექციონერს დასახმარებლად

თუ შენ გადასწყვიტე ხელი მოჰკიდო მარკების, მონეტების, ღია ბარათების ანდა ასანთის კოლოფის ეტიკეტების კოლექციის შეგროვებას, ყურადღებით წაიკითხე ის რამდენიმე რჩევა, რომელსაც აქ გთავაზობთ.

უპირველეს ყოვლისა, გახსოვდეს, რამდენი ლამაზი მარკაც არ უნდა შეაგროვო და კონვერტში ჩააწყო, ამას კოლექცია მაინც არ ეთქმის. კოლექციად ეს მარკები იქცევა მაშინ, როდესაც ისინი დალაგდება გარკვეული სისტემის მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს მათ შესწავლას. ასე მაგალითად: მარკები უნდა დალაგდეს მათი გამოსვლის ვადების, ქვეყნების, ანდა გარკვეული თემების მიხედვით. კოლექციონირება ხომ კოლექციის შედგენის დროს გარკვეული საკითხის, მეცნიერების, ანდა ხელოვნების რომელიმე სფეროს შესწავლას ნიშნავს.

როცა აგროვებ მონეტებს, მარკებს, ანდა ღია ბარათებს, შენ ეცნობი არა მარტო მათ, არამედ ყველაფერს, რაც მათზეა გამოსახული, ამბებს ან მოვლენებს, რისადმიც მიძღვნილია ისინი, ქვეყნებს, სადაც გამოცემულია. ყველაფერი ეს შენ გაძლევს ძალიან ბევრ სასარგებლო ცნობას, დაგეხმარება უკეთ ისწავლო და გაიფართოო გონებრივი ჰორიზონტი.

## ასანთის ეტიკეტები

იყო დრო, ასანთის ეტიკეტები არაფრით არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. იმ დროს ისინი, ცხადია, არავითარ ინტერესს კოლექციონერისათვის არ შეადგენდნენ. მაგრამ ბოლო ხანებში ჩვენთან, ასევე, როგორც საზღვარგარეთ, ასანთის კოლოფზე ეტიკეტები მრავალფეროვანი გახდა. კაპიტალისტურ ქვეყნებში ეტიკეტები უფრო ხშირად სარეკლამო მიზნებს ემსახურებიან, ჩვენთან კი ისინი ასახავენ ქვეყნის ცხოვრებას, სხვადასხვა მოვლენას, ეძღვნება სამახსოვრო თარიღებს, ე. ი. ასრულებენ პაწაწინა სააგიტაციო პლაკატის როლს.

ეტიკეტების საკოლექციოდ მომზადების ტექნიკა ძალიან ადვილია. ეტიკეტი რომ მოვაცილოთ ასანთის კოლოფის ფიცარს, რომელზეც ის დაკრულია, საჭიროა ეს ფიცარი ჩავდოთ ოთახის ტემპერატურის წყალში, ისე რომ ნახატი ზევით მოექცეს, არამც და არამც არ ჩადო ცხელ წყალში, ნახატი შეიძლება გაფუჭდეს. როცა ეტიკეტს ფიცარს მოაცილებ, კარგად უნდა გააშრო. ამისათვის ასე უნდა მოიქცე: მინაზე ან გლუვზედაპირიან ფიცარზე დააწყვე სველი ეტიკეტები, ზემოდან დააფარე საშრობი ქაღალდი, ქაღალდს ზემოთ კი რამდენიმე წიგნი დააწყვე, წიგნის სიმძიმე საშუალებას არ მისცემს ეტიკეტებს, დაიჭმუჭნოს ანდა დაიხვეს.

არავითარ შემთხვევაში არ აკრიფო ქუჩაში ნაყარი ასანთის კოლოფები — ეს ძალიან სახიფათოა ჯანმრთელობისათვის.

ამჟამად სპეციალურ მაღაზიებში იყიდება ასანთის ეტიკეტები კოლოფების გარეშე. ისინი საგანგებოდ კოლექციონერებისათვისაა დამზადებული.

ეტიკეტებს ინახავენ სპეციალურ კონვერტებში ანდა ალბომებში, ალაგებენ თემების ან გამოსვლის ვადების მიხედვით. ეს უკვე თვით კოლექციონერის სურვილზეა დამოკიდებული.



ველოსიპედს ან მოტოციკლს რეზინის სახელური რომ გაუცვდება, გადაელესება და ხელი სრიალს დაიწყებს, სახელურის გამოცვლას ნუ იჩქარებთ, ბეწვა ხერხით გარდიგარდმო ნაჭდევები გაუკეთეთ. ამის მერე რეზინის ზედაპირი კვლავ ხაოიანი გახდება და ხელი არ აგიცურდებათ.



ძაფის გორგალი რომ აიბურდება, თქვენს მტერს მისი გამოხსნა! არადა, არსებობს ერთი ხერხი, რომელიც, ვეჭვობთ, რომ იცოდეთ; აბურდულ-დაბურდული ძაფი ბოთლს ჩამოაცვით, ბოთლი რამდენიმე წუთს წყალში გააჩერეთ და ნახავთ, ძაფი რა იოლად გამოიხსნება.



ვის არ შემთხვევია სოფლად ასეთი რამ: მიაბამ ხეზე ან პალოზე ღორს, ცხვარს, ძროხას... მიხვალ მეორე წუთში, ბაწარი ზედაა დახვეული და საქონელს დახრჩობას აღარაფერი აკლია. იშოვნეთ ნახმარი საბურავი და საქონელი საბალახოდ ისე დააბით, როგორც აქაა ნაჩვენები.





თითქოს იოლი ამბავია, მაგრამ ჰკითხეთ დიასახლისებს, რა უხერხული სახმარია გაზის ზედა სახელური — წამდაუწუმ სხლტება და გაზქურის უკან ვარდება. გინდათ დაეხმაროთ დიასახლისს? მაშინ იშოვნეთ რეზინის ორი-სამი რგოლი (აფთიაქში წამლებს რომ ახვევენ გარშემო, ისეთი) და გაზის მილსა და სახელურს ისე შემოახვიეთ, როგორც ნახატზეა ნაჩვენები.

ბოთლის საცობს თუ წინასწარ პარაფინში დაალბობთ, შესანიშნავად სწმენდს კაფელს.

ფეხსაცმელები არა მარტო შინიდან გასვლისას უნდა გაწმინდოთ, არამედ შინ შემოსვლისასაც. კარგია თუ საღამოთი ფეხსაცმელს ვაქსს წასცხებთ, დილით კი გააპრიალებთ.

ფანჯრის რაფას ან კარს პეწდაკარგულ სალებავს ნუ მოფხეკთ, ნახერხში ძმარი შეურიეთ და ზეთის საღებავით შეღებილი ზედაპირი იმით გააპრიალეთ.

# საქიებელი


ა. მარკოვი — ილიჩი (პოემა, თარგმანი ა. ბეგაშვილისა) . . . გარეკანის 2 გვ.
მ. შაგინიანი — ისტორიის საგამოცდო ბილეთი . . . . . 3
ს. ბეჩოელი — „ბატალიონი" მზად არის... (ნარკვევი) . . . . 5
გ. კაჭახიძე — ამ ყვავილების ხათრით; შენ გიხარე მერცხალო (ლექსები) . . . . . . . 8
დ. ივარდავა — აპრილი — დიდი მხატვარი (ლექსი) . . . . . 9
ტ. მებურიშვილი — როცა ხეები მზით გაბრუვდება (ლექსი) . . . 9
გ. კეჟალმაძე — სამაგიერო (მოთხრობა) . . . . . . . 10
მ. მაჭავარიანი — „დილა" 40 წლისაა (წერილი) . . . . . 14
შ. მახარაძე — ერთობიან, სწავლობენ (წერილი) . . . . . 15
კ. მაჩაბელი — საფრანგეთის რევოლუციის და იმპერიის ეპოქის ქანდაკება (წერილი . 18
ვ. სიდამონიძე — გელა ნათელაშვილი (წერილი) . . . . . 21
ვ. ასლამაზიშვილი — ორი ორიდიონი; ტყეში (მოთხრობები) . 22
დედის თვალი (იაპონური ზღაპარი. (თარგმნა თ. ჯავახიშვილმა) . . . . . . . 24
ჩ. პეტრესკუ — ფრამი (მოთხრობა. თარგმნა ლ. კანდელაკმა) . 25
ბუნების კარი . . . 28
ჯადოსნური.სარკე . . . 28
ახალი წიგნები . . . . 30
დამწყები კოლექციონერის დასახმარებლად. 31
გამოცანები . . . . . 32
თავშესაქცევი . . . . გარეკ. მესამე გვ.


გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის ზ. მეძმარიაშვილს.


მთავარი რედაქტორი გაგულია შელია.



სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი). მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).



ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—95-17-76
პ/მგ. მდივნისა და განყოფილებების—95-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
საქ. კპ ცკის გამომცემლობა უე 03640 ტირ. 87 750. ბარ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმ.-წერ. დასაბ. 20.III-68 წ. სტამბის შეკვ. 795. გამომც. შეკვ. 580.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ს ც ა დ ე თ!

კვადრატში ჩახაზულ რვავე სამკუთხედში ჩაწერეთ 1-დან 24-მდე სამი რიცხვი ისე, რომ მერვე სამკუთხედში ჩაწერილი რიცხვების ჯამს გამოკლებული მეშვიდე სამკუთხედში ჩაწერილი რიცხვების ჯამი უდრიდეს 9-ს, მეშვიდე სამკუთხედში ჩაწერილი რიცხვების ჯამს გამოკლებული მეექვსე კვადრატში ჩაწერილი რიცხვების ჯამიც უდრიდეს 9-ს და ასე შემდეგ.




**მურმან კაშია,**
სამტრედიის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## ქ რ ო ს ვ ო რ დ ი




აქ მოცემული უჯრედების ვერტიკალურ სვეტებში ჩასვით ევროპის სხვადასხვა ქალაქების სახელები ისე, რომ შედარებით მუქ ჰორიზონტალურ უჯრედებში მიიღოთ სახელმოხვეჭილი ქართველი პოეტის სახელი და გვარი.

**თეიმურაზ ჭანტურიძე,**
ქუთაისის რკინიგზის მე-12 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.



რომელი რგოლები დაეკიდება ბაწარს, თუ მას პავჭიმავთ?

### პასუხი
### № 3-ში მოთავსებულ თავშესაქცევზე

ხელის მოუცილებლად



# თავშესაქცევი

## თ უ მ ი ხ ვ დ ე ბ ი თ?



აბა, თუ მიხვდებით რა არის გამოხატული ამ სურათზე? ვერ მიხვდით? მაშინ აიღეთ ფერადი ფანქრები და ნახატი გააფერადეთ: კვადრატით მონიშნული ნაწილები ცისფრად გააფერადეთ, ჯვრით მონიშნული — ნაცრისფრად, სამკუთხედით მონიშნული — ლურჯად, წერტილით მონიშნული — ყავისფრად, ვერტიკალური ხაზით მონიშნული — შავად, თოლიათი მონიშნული — მწვანედ, წრით მონიშნული — ყვითლად (მზეც ყვითლად), ორი ჰორიზონტალური ხაზით მონიშნული — წითლად; მოუნიშნავი ნაწილები თეთრად დატოვეთ. თუ ზუსტად გააფერადებთ, ძალიან ლამაზ სურათს მიიღებთ.

## გამოსჭერით ვარსკვლავი

აი, ასე შეგიძლიათ გამოსჭრათ ქაღალდიდან იდეალური ფორმის ვარსკვლავი.



66782

ИНДЕКС 76157

# პირდაპირი გაგებით

ნახატი ხუმრობები

ე. ამბოკაძისა

ენა დაუმოკლეს





ორპირი კაცი



მიწასთან გასწორება

თავის მოქონვა






ტყემალზე ჯდომა



თეთრი კბილების ჩვენება



ორ სკამზე ჯდომა